ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

!! 2 !@ fudbcnj7 @)!@

1190 (5880)

afcb5 #) stshb

# სასამართლომ კახა კალაძე 17 მილიონით დააჯარიმა

თბილისის საქალაქო სასამართლომ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ კახა კალაძის უძრავ-მოძრავ ქონებას ყადაღა დაადო და მას ჯარიმის სახით 16 944 960 ლარი დააკისრა.

როგორც სასამართლოს სხდომაზე აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა განმარტეს, კახა კალაძის მიერ 2012 წლის 1 იანვრიდან დღემდე პირადი ანგარიშებიდან გატანილია 3 388 992 ლარი, რომლის ხარჯვითი ნაწილიც არ საბუთდება.

შესაბამისად, აუდიტის სამსახურს მიაჩნია, რომ აღნიშნულ თანხას კალაძე ფიზიკურ პირებზე გასცემდა, რომლებიც თანხას კოალიციაში შემავალი პარტიების ანგარიშებზე შემოწირულობის სახით რიცხავდნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო სხდომაზე აუდიტის სამსახურს კონკრეტული მტკიცებულებები არ წარუდგენია.

ნიუსპრესი



# პაატა ზაქარეიშვილი: აზრზე თუ მოვლენ, ნაციონალები ციხეს გადაურჩებიან“

გვ.6



## ნოდარ ნათაძე: საქართველოს უცხო ქვეყნის აგენტები მართავენ“




გვ.2

## ოლიმპიური კაზუსი: გულშემატკივარი მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ არ იღიმებოდა

# ვინ არის ნამდვილი ოპოზიცია

გვ.2



## პოლიცია კახეთში ქართული ოცნების“ წევრებს მასობრივად აჯარიმებს

გვ.2





## ნინო ზაუტაშვილი: ჩემგან სულ სიურპრიზებს უნდა ელოდეთ!“

გვ.7

## ბიძინა ივანიშვილი: ცხინვალის დროებით ალებით სააკაშვილს სკამის გამაგრება სურდა“

ISSN 1987-9385

კე3]ბ ობსტქბ .დბსტქბ იფდბ

# ვინ არის ნამდვილი ოპოზიცია

თამარ ნინიძე

**რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ საარჩევნო მარათონს კიდევ ორი პოლიტიკური ორგანიზაცია პირადი გადაწყვეტილებით გამოეთიშა. მხედველობაში გვყავს გია თორთლაძის „დემოკრატიული პარტია“ და ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“.**

გია თორთლაძემ, როგორც ჩანს, გააანალიზა ის სავალალო შედეგი, რომელიც მის მონაწილეობას მოჰყვებოდა და უკან დაიხია. საქმე ის არის, რომ ნაცმოძრაობამ თორთლაძეს მყარი გარანტიები დახმარებისა ვერ მისცა, მეტიც, თორთლაძის ინიციატივები და რუსეთის აგენტებზე ნადირობასთან დაკავშირებით სპეციალური კანონპროექტები ნაციონალებმა არ მოიწონეს, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ეს მათ მიერ არ იყო ინიცირებული, თორთლაძე კი რომის პაპზე მეტი კათოლიკე გამოჩნდა საზოგადოების თვალში, ნაცები ისეთი ძალისხმევით აღარ დასდევენ კუდიანებს ანუ რუსეთის ჯაშუშებს, როგორც თორთლაძეს სურდა. ბატონი გია მისმა იდეოლოგიურმა ძმებმა ქრისტიან-დემოკრატებმაც გადააგდეს, მასთან ალიანსის საჭიროებაზე ქდმ-ს სიტყვაც არ დასცდენია, სამაგიეროდ ბედმა გაუღიმა პაატა დავითაიას, იმიტომ რომ მას საარჩევნო კომისიებში საჭირო ხალხი ჰყავს. სხვათა შორის, ქდმ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვეფხვაძემ პარტიული გადაწყვეტილების შესახებ არაფერი გვითხრა მაშინ, როცა ვკითხეთ, იგეგმებოდა თუ არა მსგავსი ორიენტაციის პარტიებთან საარჩევნოდ დაბლოკება. გამსხვილებაზე ვეფხვაძემ ხელები გაასავსავა, რას ბრძანებთ, რაში გვჭირდებიან, ჩვენ რეიტინგი გვაქვს, სხვები პარლამენტში რატომ უნდა გავიყვანოთო და მარტივი არითმეტიკით აგვიხსნა, რატომ არ სურს ქდმ-ს ედპ-სთან და თორთლაძის პარტიასთან თანამშრომლობა. დავითაიას შემთხვევაში მარტივი და პრაგმატული გათვლაა და თანამშრომლობა ამჯერადაც შედგება, ისევე, როგორც ადგილობრივი არჩევნების დროს იყო.

თორთლაძეს მხარდამჭერებისთვის (თუ ასეთები საერთოდ ჰყავს) ახლის არაფრის შეთავაზება არ შეუძლია, ყველა ის პოპულარული სოციალური პროგრამები, რომლებიც ფართოდ პიარდება და განიხილება, ყველა პარტიამ აითვისა, თორთლაძის პარტიას კი, მაქსიმუმ, რისი შეთავაზებაც შეუძლია, ნატოში შესვლა და კუდიანებზე ნადირობაა, ესეც, ჩვენი დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუსრულებელი მისიებია თორთლაძისთვის. რიგითი პარტიის რიგით თავმჯდომარეს ნაციონალები არ შეეკითხებიან რუსეთის ჯაშუშები როდის დაიჭირონ და ნატოს თემასაც არავის დაუთმობენ, მით უმეტეს ნაციონალებს ამ თემასთან დაკავშირებით თავისი თავი გასჭირვებიათ. ამიტომაც დათმო პოზიციები თორთლაძემ, ამიტომაც დაიხია უკან, უკანდახევა კი ერთკაციანი პარტიისთვის ლამის სიკვდილის ტოლფასია, თორთლაძეს ხომ ცნობადი პიროვნებებისგან შემდგარი გუნდი არ ჰყავს. ამიტომ ვეჭვობთ, დიდი ხნის განმავლობაში „დემოკრატიული პარტია“ პოლიტიკურ დაფაზე პაიკის როლსაც ვერ შეასრულებს.

პაატა დავითაიას პარტიული წევრები კომისიებში რომ ჰყავს, ქდმ ამიტომაც არის მზად ალიანსისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ ორივე პარტიას ჩვენი კოლეგა ჟურნალისტების მსუყე რაოდენობა ჰყავს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მონაწილეობის არანაირი სურვილი არ გამოუხატავს ქართულ პარტიას ირაკლი ოქრუაშვილის მეთაურობით. ეს პარტია მოლოდინის მდგომარეობაშია, პროცესებს აკვირდება, დამკვირვებლის სტატუსი მან საკუთარი ნებით კი არა, არამედ იძულებით მიიღო მას შემდეგ, როცა ამ პარტიის ლიდერს დაქადნება, თბილისში დავბრუნდებიო, დაქადნებადვე დარჩა და კოვზი ღრმად ჩაუვარდა ნაცარში. ოქრუაშვილი არ ესიმპათიურება არა მარტო ხელისუფლებასა და ივანიშვილს, არამედ მის ყოფილ თანაგუნდელებსაც კი მისი სახელის ხსენებაზე აჟრიალებთ.

„ახალი მემარჯვენეები“ საპარლამენტო არჩევნებისთვის სერიოზულად ემზადებიან, მთელი საქართველო სოფელ-სოფელ შემოიარეს, ყველა ორღობესა და შუკაში იყვნენ და ნანახისგან, როგორც იტყვიან, ლამის თმები ყალყზე დაუდგათ. არის ბევრი სოფელი, რომლებიც ნაციონალებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს, ამიტომაც ახლა მემარჯვენეები რეგიონებში ცდილობენ ნაციონალებისგან დაღალატებული ამომრჩევლის გადმობირებას. რამდენად წარმატებით შეძლებენ ამ მიზნის განხორციელებას, ამას 1 ოქტომბერს გავიგებთ.

ლეიბორისტები ცალკე თემაა და საგანგებო მსჯელობის საკითხია. ლეიბორისტები ულტრამემარცხენეები არიან, საარჩევნო სლოგანიც ასე ჟღერს: მდიდარს ვართმევთ, ღარიბს ვაძლევთ. მოკლედ, რობინ ჰუდისა და არსენა ოძელაშვილის სინთეზი რომ წარმოვიდგინოთ. ულიანოვ-ლენინს გაუხარდებოდა, დიდი ოქტომბრის რევოლუციისთვის ეს სლოგანი ნაცნობი და მშობლიური იყო, მაგრამ წარმატებული, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში იგივე სლოგანი და საპროგრამო პუნქტები თუ იქნება, ეს არის საკითხავი. დღეს რომ მდიდრებს უთხრათ, ქონებას წაგართმევენო, რევოლუციას ისინი მოაწყობენ. ლეიბორისტებს, ეტყობა, დრო და სივრცე აერიათ და თავი ისევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ჰგონიათ.

ეროვნულ-დემოკრატები ამ არჩევნებზეც ეულად არიან, ალიანსებმა, მართალია, არ გაუმართლათ, ასეთი ალიანსი უკვე ჰქონდათ რესპუბლიკელებთან და ჯუღელის მრეწველებთან, ახლაც არ იქნებოდნენ წინააღმდეგი, მათი მსგავსი კურსის პარტიების გამსხვილების პროცესში ჩაბმულიყვნენ, მაგრამ მათი იდეა არავინ აიტაცა, ედპ-ს მიერ წარმოდგენილი დევიზი, „ძალა ერთობაშია“, პრაგმატიზმმა გადაყლაპა, რომანტიზმი ქართულ პოლიტიკაში მიმზიდველი აღარ არის, ედპ-ს სამ მუშკეტერს – ქარდავას, ჩახვაძესა და გოგნიაშვილს – თავად მოუწევთ ამომრჩეველთან კარდაკარ სიარული (რასაც აკეთებენ კიდეც) და მათი დარწმუნება, რომ ხმა სწორედ ედპ-ს მისცენ და არა სხვა პარტიას.

დაბლოკდნენ შაშიაშვილის „თეთრები“, ტრადიციონალისტები და კუკავას პარტია. ამ პარტიების ლიდერები მათ ბლოკში ბურჯანაძესაც ელოდნენ, მაგრამ ბურჯანაძემ ამ არჩევნებში მონაწილეობაზე საერთოდ თქვა უარი. შეიძლებოდა შემდგარიყო „ქართული ოცნებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ თანამშრომლობა, მაგრამ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ბურჯანაძის ფაქტორი კონკურენციის გამო რესპუბლიკელებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა არ მიიღეს. არგუმენტი, რომ ბურჯანაძე რუსული ორიენტაციისაა და ჩვენ უფრო პროდასავლელები ვართო, დავითაშვილ-ძიძიგურის, თოფაძე-ტყემალაძის ფონზე ღიმილს იწვევს. ეს არგუმენტი არ არის, თუ კოალიციამ სიხარულით გულში ჩაიხუტა თოფაძის მრეწველები, კონსერვატორები და ხალხის პარტია, რომლებიც ცნობილი ანტინატოელები არიან, ბურჯანაძესაც მიიღებდა, ამიტომ აქ უფრო ახალი კონკურენტის გავლენის პრობლემაა. დადებითი და უარყოფით ასპექტები რომ განვიხილოთ ბურჯანაძის ამ არჩევნებში მონაწილეობის უართან დაკავშირებით, უარყოფითი, მაქსიმუმ, ის იქნებოდა, რომ დემოკრატიული მოძრაობის შეხვედრები ამომრჩეველთან არ გაშუქდება, დადებითი კი ბევრი ასპექტია, პირველ რიგში ის, რომ ბურჯანაძე გამარჯვების ამბიციით შეპყრობილი კოალიციის მთავარ მიზანს – ნაციონალების ხელისუფლებიდან განდევნას ელოდება, მეორეც, „დემოკრატიულ მოძრაობას“ არაერთხელ განუცხადებია, რომ სააკაშვილის გუნდის მიერ დაწერილი საარჩევნო კოდექსი ის არათანაბარი მდგომარეობა, რომელიც ოპოზიციასა და ხელისუფლებას აქვთ, საფუძველშივე ქმნის პირობებს უსამართლო და არადემოკრატიული არჩევნებისთვის, ამ ეტაპზე ამ პარტიას დაეზოგება არა მარტო ფინანსები, არამედ ნერვები და ენერგია. ამასობაში კი კოალიციას, რომლის იმედი საზოგადოების არც ისე უმნიშვნელო ნაწილს აქვს, იმის შესაძლებლობას მისცემს, რომ დაამტკიცოს, ფსევდოა თუ ნამდვილი ოპოზიცია. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ბურჯანაძეს არ სურს, ოპოზიციამ ერთმანეთს ხმები წაართვას. სხვა პარტიების საქმეა, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას არჩევნებში, მაგრამ ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას, ურიგო არ იქნებოდა, ბურჯანაძისთვის მიებაძა და კოალიციისთვის ეცლია.

# ოლიმპიური კაზუსი: გულშემატკივარი მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ არ იღიმებოდა




**ოლიმპიადა დიდი დღესასწაულია. თუმცა იქ, სადაც ხალხის მასობრივი თავყრილობებია, კურიოზებიც გარდაუვალია. დიდი ბრიტანეთის პოლიციაც ყველაფერს თვალს ფხიზლად ადევნებს. ინფორმაცია, რომ ტერაქტებია მოსალოდნელი, საკმაოზე მეტია. დემოკრატიულ სამყაროს მტერი ბევრი ჰყავს. ძალები, რომლებიც აშშ-ში „ტყუპების“ აფეთქებაზე წავიდნენ, ბომბებს ლონდონის სტადიონზეც სიამოვნებით გაისვრიან. გამომდინარე აქედან, პოლიციელთა სიფხიზლე სრულიად გასაგებია. თუმცა...**

– ზომიერება ყველაფერშია საჭირო და მეტისმეტი გულმოდგინებაც არ ვარგა. ამის დავიწყებას არავის ვურჩევ, – წერდა ინგლისელი მწერალი ჯერომ ჯერომი.

ამბობენ, დღევანდელ ბრიტანეთში ცოტას კითხულობენ, უმრავლესობას წიგნს კომპიუტერი ურჩევნიაო. ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ თვით ისეთი მწერლების მიმართაც კი განელდა ინტერესი, როგორებიც იყვნენ დიკენსი ან თეკერეი. ჯერომ ჯერომი მათსავით გიგანტი ნამდვილად ვერაა, თუმცა კლასიკოსი მაინც არის. უინსტონ ჩერჩილი აცხადებდა, რომ ბრიტანელისათვის ჯერომს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

– მის იუმორს ბოლომდე და სრულყოფილად მხოლოდ ჩვენ ვიგებთ. ამასთან, ინგლისელისათვის ჯერომი მასწავლებელიცაა. თუკი მის შეგონებებს დავივიწყებთ, სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, – წერდა ჩერჩილი.

პოლიციელები, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებზე წესრიგს იცავდნენ, ჯერომის შემოქმედებას არ იცნობდნენ. აი, მათი ყურადღება ტრწუნაზე მჯდომმა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა მიიპყრო. სხვებისაგან განსხვავებით, ის არ იღიმებოდა, ტაშს არ უკრავდა, არ ყვიროდა და არ სკანდირებდა.

– ვინაა და რა უნდა, – გადაულაპარაკა ერთ-ერთმა პოლიციელმა მეორეს, – აშკარაა, ეს კაცი აქ საგულშემატკივროდ არაა მოსული. რატომ არ იღიმება, ტაშს რად არ უკრავს?

– ჰო, უცნაურია, – დათანხმდა მეორე.

ტერმინი „უცნაური მგზავრი“ პირველად ჯერომ ჯერომმა იხმარა. თავის დროზე ის ყველას იმდენად მოეწონა, რომ ფრთოსან გამოთქმად იქცა. ინგლისიდან ის ჯერ ევროპას, შემდეგ რუსეთსაც მოედო. გამოთქმა „უცნაური მგზავრი“ რუსეთში დღესაც იხმარება. შესაძლოა, პოლიციელები, რომლებიც სტადიონზე წესრიგს იცავდნენ, ამ გამოთქმას თავადაც ხშირად ხმარობდნენ. მათ გადაწყვიტეს, უჟმური გულშემატკივრისათვის თვალი არ მოეშორებინათ.

– აბა, ფხიზლად იყავი, ეს ტიპი არ მომწონს.

პოლიციელები შემართულნი იდგნენ. „უცნაური მგზავრი“ კი თავის ადგილას იჯდა და არავის არაფერს უშავებდა. არც მაშინ განძრეულა, როცა რამდენიმე გულშემატკივარმა რაღაც პლაკატები ასწია. პლაკატები პოლიტიკური შინაარსისა იყო. დემონსტრანტებიც უჟმურ გულშემატკივართან სულ ახლოს იდგნენ. პოლიციელებს მოთმინებამ უღალატა. ისინი უჟმურ გულშემატკივარს დააცხრნენ და ტრიბუნიდან გადმოათრიეს.

– ყველაფერი ძალზე მოულოდნელად მოხდა, – იგონებდა შემდგომში გულშემატკივარი, – გონს მოსვლაც კი ვერ მოვასწარი, რომ პოლიციელები ჩემ სიახლოვეს გაჩნდნენ და ხელი მტაცეს.

„უცნაურ მგზავრს“ ხელები გადაუგრიხეს და მიწაზე პირქვე დააგდეს. მის ხმამაღალ პროტესტს არავინ ყურადღება არ მიაქცია. პოლიცია უჟმური მაყურებლის გაჩხრეკას შეუდგა. მას ჯიბეში დანის რეზინის მაკეტი აღმოაჩნდა.

ამან პოლიციელთა ეჭვი გააძლიერა. რას ნიშნავს ეს? გულშემატკივარი კი თავს იმართლებდა:

– მე ტაე-კვანდოს ინსტრუქტორი ვარ.

– და აქ სტადიონზე ვარჯიშობ, არა? – დაიღრიალა პოლიციელმა, – კმარა!

ინსტრუქტორი პოლიციის განყოფილებაში წააბრძანეს. დაიწყო დაკითხვა. დაკავებულმა განაცხადა, რომ მარკ უორსდორფი ჰქვია, რომ 54 წლისაა, ცხოვრობს სოფელში, ლონდონში კი ოლიმპიადის საყურებლად ჩამოვიდა:

– კი, მაგრამ რატომ არ იღიმებოდი? ტაშს არ უკრავდი და არ სკანდირებდი? – შეეკითხა პოლიციელი, – განა გულშემატკივარი შენსავით იქცევა?

საბრალო უორსდორფი ამაოდ უხსნიდა პოლიციელებს, რომ გაღიმება არ შეეძლო, რადგანაც პარკინსონის დაავადება აქვს. შედეგად მისი სახის კუნთები ნაწილობრივ პარალიზებულია, ტაშის დაკვრა და სკანდირებაც მისთვის ძნელია. პოლიციელებზე ამ არგუმენტმა არ იმოქმედა:

– ეს დანის მაკეტი რაღაა? რად გინდა?

– ვერთობოდი.

– რაო?

– აკი გითხარით, სანამ შეჯიბრება დაიწყებოდა, პუბლიკას ტაეკვანდოს ილეთები ვუჩვენე.

– აქ, სტადიონზე უჩვენე?

– ჰო.

– რატომ?

– სანამ შეჯიბრება დაიწყებოდა, რამენაირად ხომ უნდა გავრთობილიყავი! პუბლიკაც გავართე.

პოლიციელმა თავი გააქნია. ოქმშიც ასე ჩაწერა: დაკავებულია საეჭვო პირი, რომელიც სტადიონზე იჯდა და არ იღიმებოდა.

უორსდორფმა პოლიციაში ხუთი საათი გაატარა. ბოლოს და ბოლოს, მას უფლება მისცეს, მეუღლეს დაკავშირებოდა.

– უკვე შიშმა შემიპყრო, – აცხადებდა შემდგომში მისის უორსდორფი, – ქმარი სტადიონზე წავიდა და აღარ დაბრუნებულა.

მეუღლე პოლიციის განყოფილებისაკენ გაემართა და ქმრის ჩვენება დაადასტურა. დიახ, 54 წლის მარკ უორსდორფი მართლაც პარკინსონით იყო დაავადებული. ამიტომ გაღიმება და სკანდირება არ შეეძლო. პოლიციამაც მას ბოდიში მოუხადა და გაათავისუფლა.

– პოლიციელებთან არავითარი პრეტენზია არა მაქვს, ისინი თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ, – განუცხადა ჟურნალისტებს უორსდორფმა.

„ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება“, – ამბობს ინგლისური ანდაზა, ტაეკვანდოს 54 წლის ბრიტანელი ინსტრუქტორისათვის კი მას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია.

ნიკა თევზაძე


ახალი თაობა

[illegible]

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

[illegible]

# ბიძინა ივანიშვილი: ცხინვალის დროებით აღებით სააკაშვილს სკამის გამაგრება სურდა“

თეა მარხვაიძე

**— მე კარგად მახსოვს, საოკუპაციო ჯარი იდგა ყველგან, მაგრამ აუცილებელი იყო ფოთში ჩაფრენა, რათა გაგვემხნევებინა, რადგან ეს მოხდა მას შემდეგ, რაც იქ ხალხი დაიღუპა. მახსოვს, ავფრინდით, მივფრინავდით ღრუბლებში დამალულები, იმიტომ, რომ ყველა მხრიდან რუსული თვითმფრინავები დაფრინავდნენ, ცა იყო გადაკეტილი და ასე ღრუბელ-ღრუბელ, მალვით ჩავფრინდით, როგორც იქნა, ფოთში. ხმელეთზე გადაადგილება იყო შეუძლებელი, ტრასა ჰქონდათ დაკეტილი. ჩავფრინდით და დავიწყე გამოსვლა პირდაპირ ეთერში. რუსებმა რომ დამინახეს პირდაპირ ეთერში, მოახტნენ რამდენიმე ათეულ ბეტეერს და წამოვიდნენ, ბუნებრივია, ჩემს დასაჭერად. მათ გადაუდგა ფოთის შესასვლელთან პოლიციის რაზმი და უთხრეს, რომ არ გაუშვებდნენ. რუსებს ახლდათ ერთი ქართველი, ჩვეულებრივი, ქართულად მოლაპარაკე. სხვათა შორის, რამდენიმე ასეული ქართველი იყო მათ შეიარაღებულ ჯარებში. ისინი ამზადებენ ხოლმე მე-5 კოლონას — მე-11 არმიის პროტოტიპებს. ბოლო წლებში მოზდოკში ქართველთა რაზმის გაწვრთნა მიმდინარეობს და ამ ქართველმა უთხრა ჩვენს პოლიციელებს — ნუ გეშინიათ, ჩვენ ფოთში შევალთ, მხოლოდ ერთი ადამიანი გვაინტერესებს, არავის არაფერს დავუშავებთო. პოლიციელმა უპასუხა: ამ შემთხვევაში ის ერთი ადამიანი არის საქართველო. ნამდვილად არასოდეს გავკადნიერდები ისე, რომ ჩემი მოკრძალებული პიროვნების იდენტიფიკაცია გავაკეთო და გავაიგივო საქართველოსთან, მაგრამ საუბარი იყო ეროვნულ სიმბოლოებზე; საუბარი იყო იმაზე, რომ მათთვის საქართველოს მთავრობის ფიზიკური განადგურება იყო ტოლფასი საქართველოს დამონებისა და ფეხქვეშ გათელვის და ახლაც რჩება ამის სიმბოლოდ. ახლაც იმიტომ არიან კონცენტრირებული იმაზე, რომ ისინი ვერ ჩათვლიან თავს გამარჯვებულად, სანამ საქართველოს იგივე მთავრობა ჰყავს, — აღნიშნა სააკაშვილმა.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვერ დააკონკრეტეს, 2008 წლის აგვისტოში ზუსტად რომელ რიცხვში ჩაფრინდა მიხეილ სააკაშვილი ფოთში მალულად.

ამ ინფორმაციას სასაცილოდ მიიჩნევენ ოპოზიციაში. გაცინებულ ოპოზიციას ნაცმოძი სთხოვს, დაასახელონ, სად იყო ომის დროს ბიძინა ივანიშვილი. ამ კითხვას „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ რამდენიმე დღის წინ გასცა პასუხი. მისი თქმით, ივანიშვილი იმ დროს საქართველოში იყო.

ოდნავ მოგვიანებით ამ თემაზე თავად ბიძინა ივანიშვილმა ისაუბრა. ომი და ომის დროს ხელისუფლების ქმედებები ივანიშვილმა ურეკში შეაფასა. ურეკში ის მოსახლეობას შეხვდა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა აგვისტოს ომის მიმდინარეობის პერიოდში ბევრი შეცდომა დაუშვა.

— ქვეყნის მთავარსარდალმა მომარაგების გარეშე მიატოვა ჯარისკაცები, არ ხდებოდა დაჭრილების მკურნალობა. ყველაფერში გამოჩნდა, როგორი მენეჯმენტი და სახელმწიფოს მართვა შეუძლია მას. ჯერ მიიღო აბსოლუტურად გაუმართლებელი გადაწყვეტილება, იმის შემდგომ კი პროცესების მართვაც ვერ შეძლო. დღეს ამბობენ, ჩვენ ეს რომ არ გაგვეკეთებინა, რუსები თბილისამდე შემოვიდოდნენ და ჩვენ ეს შევაჩერეთ. როგორც შეაჩერეს, კარგად გახსოვთ. მე ურეკში ვიყავი მაშინ და ფოთში ისე შემოვიდნენ, აღარც პოლიცია, აღარც ჯარისკაცი იყო არსად. სადაც მოუნდებოდათ რუსებს, იქ შევიდოდნენ. თბილისამდეც თავისუფლად ჩავიდოდნენ და არაფრის შემჩერებელი არ იყო სააკაშვილი, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ახლა სააკაშვილი ცდილობს მოატყუოს საზოგადოება და ეს დიდი შეცდომა ვაჟკაცობაში ჩაითვალოს.

ივანიშვილმა დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა და აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ დაიბრუნონ დაკარგული ტერიტორიები.

მოსახლეობასთან შეხვედრისას „ქართული ოცნების“ ლიდერმა 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევ ფაქტორებზეც ისაუბრა.

ქვეყნის მთავარ მეოცნებეს ომის უმთავრეს ფაქტორად მიხეილ სააკაშვილის მიერ „სავარძლის გამაგრების“ სურვილი დაასახელა.

— მიხეილ სააკაშვილმა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის შემდეგ ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში წააგო, თუმცა შედეგები გააყალბა და რადგან „მის სავარძელს წყალი ჰქონდა შემდგარი“, ეძებდა გამოსავალს, თუ როგორ გაემაგრებინა იგი. სააკაშვილი საკუთარი სავარძლის გამაგრებისთვის ფიქრობდა. თუ ის ოსეთის ტერიტორიას დროებით აიღებდა, ამით ის სავარძელს გაიმაგრებდა. ომამდე რამდენიმე დღით ადრე გაუგებარი ფორმირებები ისროდნენ ქართული სოფლების მიმართულებით და იმის სანაცვლოდ, რომ სააკაშვილს ევროპული და ამერიკული თანამეგობრობიდან მოეხმო მონიტორინგი, გაეკეთებინა ამის კონტროლი, ოჯახები გაერიდებინა ამ ხიფათისთვის და ამით შესაძლებელი იყო, დამთავრებულიყო ეს ყველაფერი და წინ წაგვეწია იმ პრობლემებში, რომელიც გაგვაჩნდა აფხაზეთისა და ოსეთის ტეროტორიაზე, სააკაშვილმა ჩაიდინა ეს გამოუსწორებელი სისულელეები, რადგან მას ჰქონდა სურვილი, საომარი მოქმედებებით დაებრუნებინა სამხრეთ ოსეთი და გაემაგრებინა საკუთარი სავარძელი, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მის ამ განცხადებას ხელისუფლებაში უკვე მოჰყვა რეაქციები. ნაცმოძის წარმომადგენლები აღშფოთებული არიან იმით, რომ ივანიშვილმა ცხინვალის რეგიონი ოსეთად მოიხსენია.

ისე, მართლა უხერხულია, როცა სამაჩაბლოს ოსეთად მოიხსენიებს ვინმე. მაგრამ განა ამ ჩვენმა ნაცმოძმა არ აღადგინა ზვიად გამსახურდიას მიერ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. დღეს რატომღაც აღარავინ იხსენებს ამას. აღარ უნდათ არც იმის გახსენება, რომ აღდგენილ სამხრეთ ოსეთს ახალგორის რაიონი მიუერთეს.

ვასიკო მაღლაფერიძე, რომელსაც იმ პერიოდში მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის პოსტი ეკავა, ამ ფაქტს სერიოზულად აპროტესტებდა. მაღლაფერიძემ თქვა, რომ ამის შემდეგ ოსებს ახალგორზე პრეტენზიები გაუჩნდებოდათ.

ნაცმოძმა ეს განცხადება დაუწუნეს გუბერნატორს, თქვეს, რომ ის სამხრეთ ოსეთის აღდგენას პირადი მოსაზრებების გამო ეწინააღმდეგებოდა. თურმე მაღლაფერიძეს თავისი ინტერესები ჰქონდა ახალგორში. მერე კი გამოჩნდა, რომ მაღლაფერიძე მართალი იყო, მაგრამ რაღა დროს.

ახლა ივანიშვილი ამბობს, რომ აგვისტოს ომი იყო ყველაზე დიდი უმეცრება, რაც საქართველოს ხელისუფლებას ჩაუდენია ამ რვა წლის განმავლობაში.

ისე, საინტერესოა, ოპოზიციაში წასვლამდე რატომ არაფერი თქვა ივანიშვილმა ამის შესახებ.

ახლა ამის შესახებ ბევრს საუბრობს. ის, რომ რუსეთი ომისთვის კარგა ხნით ადრე ემზადებოდა, აღმოჩენა არ არის და ამ მარტივი სიცრუით ხელისუფლება საკუთარი დანაშაულისა და უმეცრების დამალვას ცდილობს.

**ამ დღეების განმავლობაში ყველა აგვისტოს ომზე საუბრობს. ოპოზიცია ამტკიცებს, როგორ გაიქცა ქვეყნიდან ხელისუფლება. ხელისუფლების წარმომადგენლები კი ამბობენ, რომ საქართველოდან ფეხი არ მოუცვლიათ. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ის იმ დროს ფოთში იყო. სხვათა შორის, რუსები ფოთშიც შევიდნენ. პრეზიდენტის თქმით, ის იქ იყო მანამ, ვიდრე ოკუპანტებმა ფოთი არ დატოვეს.**



— მოდით, ანალიზი გავაკეთოთ იმისა, თუ რა მოხდა ამ დღეს, რატომ მოხდა ეს უბედურება და კიდევ ერთხელ ვუპასუხოთ ამ საკითხზე ხელისუფლების სპეკულაციებს. ის, რომ მათ ყველაზე დიდი დანაშაული, ყველაზე დიდი უმეცრება ჩაიდინეს 8 აგვისტოს, რაც კი სააკაშვილს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, შეიძლებოდა ჩაედინა, ეს გამოჩნდა. ახლა სააკაშვილი და მისი იდეოლოგები ამბობენ, რომ რუსეთი დიდი ხნით ადრე ემზადებოდა ამ ომისთვის. ეს ისედაც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და ამის აღმოჩენით ხელისუფლება, უბრალოდ, ცდილობს, ეს ომი გაამართლოს. დიახ, ეს საკამათო არ არის, რუსები ომისთვის რამდენიმე წლით ადრე ემზადებოდნენ და განვავრცობ — საუკუნეებით ადრეც ემზადებოდნენ და სურდათ, თავიანთი გეოპოლიტიკა, უშიშროება გაემყარებინათ და კავკასიის იქით გადმოსულიყვნენ; რუსეთი არ არის ერთადერთი მეზობელი და ახლომყოფი სახელმწიფო, რომელსაც გარკვეული სურვილები ამოძრავებს ჩვენი ტერიტორიების მიმართ. შესაბამისად, ღია კარის მტვრევა და მტკიცება, რომ რუსები დიდი ხანია ემზადებოდნენ ომისთვის, ვერ გამოდგება გასამართლებლად. ეს არ არის აღმოჩენა და ამ მარტივი სიცრუით ხელისუფლებას უნდა, საკუთარი დანაშაული და უმეცრებები დამალოს, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, რუსეთი ომის დასაწყებად რეალურ საბაბს ელოდებოდა, რაც სააკაშვილმა გაუმართლა.

— რუსეთს არ გაუზრდია არმია, არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებია, რომ საქართველოსთან ომი ეწარმოებინა. მაშინ რას ელოდებოდა, რატომ ერთი ან ორი წლით ადრე არ დაიწყო ის? — ელოდებოდა მიზეზს, ელოდებოდა რეალურ საბაბს. ეს მოლოდინი სააკაშვილმა გაუმართლა. სააკაშვილმა გაუკეთა ყველაფერი, რასაც რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ელოდა და მისცა საშუალება, საქართველოს ტერიტორიაზე ჯარი შემოეყვანა, — აღნიშნა ოპოზიციის ლიდერმა.

ომის გარდა, ახლა საქართველოში აქტუალური სალაპარაკო ტურიზმი და არჩევნებია. ურეკის მოსახლეობისთვის ტურისტები შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენენ. ამდენად, რა გასაკვირია, ივანიშვილი მათ საარჩევნოდ ამ თემაზე რომ ესაუბრა.

— ყველაზე მეტად, რითიც ვამაყობ, ეს არის ის, რომ შევქმენი შავი ზღვის ნაგავისგან გასუფთავების იდეა. ამავდროულად, მე სურვილი მქონდა მაშინ, რომ ურეკში კანალიზაცია ყოფილიყო, რაზეც სააკაშვილთან თათბირის შემდგომ მან მითხრა, რომ ურეკშიც და ქობულეთშიც ეს გერმანული გრანტით ფინანსდებოდა და ამ იდეაზე უარი მათქმევინა. ნაგვის გატანაზე ძალიან ბევრი ვიზრუნე და მარცხი განვიცადე. ვერ მივიყვანეთ ეს საქმე ბოლომდე, მაგრამ მოვალთ ხელისუფლებაში და აუცილებლად მივიყვანთ. თქვენ კარგად იცით, რომ სანაპიროების დიდი ნაწილი ჩვენ შემოვლობეთ, ძალიან ბევრ სოფელს დავურიგეთ მანქანები და ვაპირებდით ნაგვის გატანას, მაგრამ არ დაინტერესდა ხელისუფლება და ხელი შეგვიშალა, რადგან საჭირო იყო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რისი საშუალებაც არ მოგვცეს. ჩვენ ვერ მივიყვანეთ ეს საქმე ბოლომდე და დღეს, პრაქტიკულად, მთელი დასავლეთ საქართველოს ნაგავი შავი ზღვის სანაპიროზე გროვდება და ეს სირცხვილია. ძალიან ხშირად ჩვენი სანაპიროები არის დაბინძურებული და ეს ვერ გახდება საფუძველი, რომ აქ მილიონობით ტურისტი ჩამოვიდეს. შარშან საქართველოში ტურისტების რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა. წელს ისევ სომხები დაგვიბრუნდნენ, თორემ ისევ საშინელ დღეში ჩავცვივდებოდით. მოგეხსენებათ, ყაზახეთიდან ჩამოსული ინვესტორებიც საქართველოდან იმედგაცრუებულნი წავიდნენ. სააკაშვილი ბოლო თვეებია ამაყობს, რომ დიდი რაოდენობით რუსები ჩამოდიან. მე არსად შემიმჩნევია ისინი. რეალურად ურეკში რომ ტურისტები მოვიზიდოთ, ეს ისეთი უნიკალური ადგილია, ამისათვის ძალიან ცოტაა გასაკეთებელი. მას უნიკალური, სამკურნალო ქვიშა გააჩნია. რუსეთი ამ ბოლო წლების განმავლობაშიც კი ცდილობდა, რომ აქედან ეს სილა ტომრებით გაეტანა და სამკურნალოდ გადაეტანა რუსეთის ტერიტორიაზე“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ურეკი სულ მალე იმას დაიბრუნებს, რაც ეკუთვნის, ის ძალიან იოლი ასაღორძინებელია.

— მე სანამ პოლიტიკაში მოვიდოდი, თითქმის დასრულებული მქონდა რუს ინვესტორებთან მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ დაჭაობებულ ტერიტორიაზე, რომლის ნაწილი გურიას, ნაწილი კი აჭარას ეკუთვნის, აშენდებოდა რამდენიმე სასტუმრო, სადაც რეალურად რამდენიმე ათასი ტურისტი ჩამოვიდოდა, რადგან ამ სასტუმროებში თანხა ყველაზე მსხვილ ოპერატორებს ექნებოდათ გადახდილი. ჩემი მოთხოვნა იყო, რომ ამ სასტუმროს ჰქონოდა სოლარიუმი, რომ ზამთარშიც მათი სრული დატვირთვით მუშაობა შესაძლებელი ყოფილიყო. ყველა სასტუმროს უნდა ჰქონდეს სოლარიუმი, ეს მოგვცემს საშუალებას, მთელი წლის განმავლობაში გვყავდეს ტურისტები. საუბედუროდ, ჩვენ ამ პროექტის დასრულება ვერ მოვახერხეთ, რადგან პრეზიდენტის გაუაზრებელი განცხადებების გამო რუსეთის ბაზარი ჩაიკეტა. ამ პროექტს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე, — აღნიშნა ივანიშვილმა.

# პოლიცია კახეთში ქართული ოცნების“ წევრებს მასობრივად აჯარიმებს

პოლიციის თანამშრომლები კახეთში კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებს მასობრივად აჯარიმებენ. ლაგოდეხში მცხოვრები მერაბ ივანაშვილი სამართალდამცავებმა ორი დღის განმავლობაში სამჯერ, სულ 340 ლარით დააჯარიმეს.

„ლაგოდეხიდან სოფელ ულიანოვკაში მივდიოდით სამი – ოთხი მანქანით, სულ ბოლოს მე მივდიოდი. სარკეში ვხედავდი, რომ უკან პოლიციის მანქანა მომყვებოდა. არაფერი დამიშავებია. 60-ით მივდიოდი. უცებ პოლიციის მანქანამ გადამისწრო და გაჩერება მომთხოვეს. პოლიციის თანამშრომლებმა მითხრეს, რომ ღერძულა ხაზი გადავკვეთე, რაც არ გამიკეთებია. მანქანაში 5 ადამიანი იჯდა. ყველა დამემოწმა, რომ მოძრაობის წესები არ დამირღვევია, მაგრამ



200 ლარიანი ჯარიმა მაინც დამიწერეს. 7 აგვისტოს, სოფელ კავშირში, ბენზინგასამართ სადგურთან ისევ გამაჩერეს და ისევ ჯარიმა დამიწერეს, 100 ლარიანი. ღერძულა ხაზი გადაკვეთეო. არც ამჯერად გადამიკვეთავს, რადგან ვხედავდი, რომ პოლიციის მანქანა მომყვებოდა. მეორე დღეს ლაგოდეხში ვიყავი, „ქართული ოცნების“ ოფისში. იქიდან რომ გამოვედი, დავჯექი მანქანაზე და სოფელში წამოვედი. პოლიცია ამედევნა, გამაჩერეს. მანქანაში სხვა მგზავრებიც იყვნენ. უსაფრთხოების ღვედი გადაჭერილი გვქონდა, მაგრამ პოლიციამ, არ გქონდათო. 40 ლარიანი ჯარიმა დამიწერეს“,– განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მერაბ ივანაშვილმა.

პოლიციის თანამშრომლებმა ლაგოდეხში „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი წევრი კახაბერ კევლიშვილი 400 ლარით დააჯარიმეს. კევლიშვილს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არასწორი გასწრების მიზეზით ორჯერ შეუდგინეს. „პოლიციის თანამშრომლებს ვუთხარი, გასწრება არ გამიკეთებია საერთოდ და უკანონოდ მაჯარიმებთ მეთქი. ჩვენ ოქმს შევადგენთ და შენ სადაც გინდა იქ იდავეო, მითხრეს“, – აღნიშნა კახაბერ კევლიშვილმა.

ლაგოდეხში 100 ლარით დააჯარიმეს „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი წევრი გია ბიწაძე. „ღერძულა ხაზის გადაკვეთაში დამადანაშაულეს, არადა არ გადამიკვეთავს, მაგრამ როგორ დავუმტკიცებ?“, – ამბობს ბიწაძე.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომლებმა 5 და 9 აგვისტოს, კოალიცია „ქართული ოცნების“ თელავის შტაბის წევრი ლევან ხვისტანიც დააჯარიმეს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მას ავტომანქანის ბუნებრივ აირზე გადაყვანის საბუთის არქონის და მოძრაობის წესების დარღვევის მიზეზით შეუდგინეს.

„ქართული ოცნების“ წევრების მასობრივ დაჯარიმებასთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციის კახეთის სამმართველოში და შსს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში კომენტარს არ აკეთებენ.

არცერთ დაჯარიმებულს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სასამართლოში არ გაუსაჩივრებია. მათი თქმით, გასაჩივრებას აზრი არ აქვს, რადგან არაფერი იცვლება.

სტატისტიკური მონაცემებით, 2010 – 2011 წლებში, თელავის, გურჯაანის და ყვარლის რაიონულ სასამართლოებს პოლიციის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით შედგენილი არცერთი ოქმი არ გაუუქმებია.

***კახეთის საინფორმაციო ცენტრი***

# ირაკლი ტრიპოლსკის დუშეთში წინასაარჩევნო შეხვედრა ჩაუშალეს

**დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა „ქართული ოცნების“ დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ირაკლი ტრიპოლსკის დუშეთში, ამომრჩეველთან წინასაარჩევნო შეხვედრა ჩაუშალეს.**

შეხვედრაზე საჯარო მოხელეები ორგანიზებულად მივიდნენ. შეხვედრის ჩაშლაში მონაწილეობდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები ირმა ჯანგირაშვილი და მარინა მთიულიშვილი; სოფელ ოძისის რწმუნებულის მეუღლე, ოძისის საჯარო სკოლის დირექტორი სოფიო გაბრიელაშვილი; დუშეთის სკოლა – პანსიონის დირექტორი დარეჯან თომაძე; სპორტული სკოლის დირექტორი ნიკო ჯიქურაული; სოფელ მჭადიჯვრის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი მედეა არათანაშვილი; შეხვედრის ჩაშლაში ასევე მონაწილეობდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბესიკ შალაშვილის დედა მაგული შალაშვილი; დუშეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის შალვა ინაშვილის სიდედრი ლუდა დუდაური და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის წევრი თინა სალირაშვილი. ერთ-ერთ მათგანს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო მაისურიც ეცვა.

„წადი, წადი, წადი“... „გაუმარჯოს ზურაბ ოტიაშვილს“ – სკანდირებდნენ საჯარო მოხელეები. გამგეობის თანამშრომლებს თან სხვა პირებიც ახლდნენ, მათ შორის აგვისტოს ომში გარდაცვლილი ერთ-ერთი ახალგაზრდის დედაც. შეხვედრის ჩაშლის შემდეგ გამგეობის თანამშრომლებსა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის ადგილი ჰქონდა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მცდელობასაც. შეხვედრის ამსახველი ვიდეომასალა სააგენტომ „ინფო9“ გაავრცელა.

„შეკრებილი იყო დუშეთის ერთ-ერთი უბნის მოსახლეობა. როგორც ეტყობა გამგეობამ და მათმა ხელმძღვანელობამ მობილიზება გაუკეთეს მთელი დუშეთის წარმომადგენლობას, მათ მხარდამჭერებს, მოიყვანეს აქ და მოაგზავნეს სიატუაციის ჩასაშლელად. შეგნებულად ძაბავენ სიტუაციას, პროვოკაციულ შეკითხვებს იძლევიან და აქვთ მცდელობა, რომ არიონ სიტუაცია“, – განაცხადა „ქართული ოცნების“ დუშეთის ოფისის ხელმძღვანელმა თედო კარიაულმა.

მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი კომენტარისთვის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბესო შალაშვილს დაუკავშირდა.

***– ბატონო ბესო, რატომ მონაწილეობდნენ გამგეობის თანამშრომლები და სხვადასხვა საბიუჯეტო სამსახურების ხელმძღვანელები ამომრჩეველთან ირაკლი ტრიპოლსკის შეხვედრის ჩაშლაში?***

– ჩემი თანამშრომლები არიან 6 საათამდე, მერე აღარ.

***– დედათქვენიც მონაწილეობდა შეხვედრის ჩაშლაში.***

– დედაჩემსაც იგივე უფლება აქვს. მე რა ვიცი სად წავა, ხომ არ ავუკრძალავ“.

დაზუსტებული ინფორმაციით, ამომრჩეველთან ირაკლი ტრიპოლსკის შეხვედრის ჩაშლის შესახებ დავალება გამგეობის თანამშრომლებმა და სხვა საჯარო მოსამსახურეებმა ზურაბ ოტიაშვილისგან მიიღეს. ზურაბ ოტიაშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ საპარლამენტო არჩევნებში კენჭს დუშეთის მუნიციპალიტეტში იყრის. მისი წარდგენა ოფიციალურად ჯერ არ მომხდარა. დარეჯან თომაძე, ნიკო ჯიქურაული, სოფიო გაბრიელაშვილი და ირმა ჯანგირაშვილი მისი მეგობრები არიან. მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი კომენტარისთვის ზურაბ ოტიაშვილსაც დაუკავშირდა.

***– ბატონო ზურაბ, სწორედ თქვენს სახელს სკანდირებდნენ გამგეობის თანამშრომლები, თქვენი მეგობრები, ამომრჩეველთან ირაკლი ტრიპოლსკის შეხვედრის ჩაშლის დროს.***

– ვისაც რა უნდა იმას დაიძახებს. რა, ხომ ვერ ავუკრძალავ. არ მაქვს თქვენთან კომენტარის გაკეთების სურვილი.

***– თქვენ საკრებულოს მოქმედი წევრი ხართ, ამასთან დეპუტატობა გინდათ და კანდიდატად განიხილებით. ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ შეხვედრის ჩაშლა თქვენ დაგეგმეთ და შესრულება დაავალეთ თქვენს მეგობრებს, გამგეობის თანამშრომლებს.***

– არ ვარ ხასიათზე, რომ კომენტარი გავაკეთო. არ ვარ იმ სიტუაციაში. რა მაძალებთ, რომ კომენტარი გავაკეთო? კარგად ბრძანდებოდეთ“.

შეგახსენებთ, რომ ირმა ჯანგირაშვილი გასულ წელს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სამუშაოდ ზურაბ ოტიაშვილის დავალებით მას შემდეგ მიიწვიეს, რაც ადგილობრივ ხელისუფლებასა და მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს შორის ურთიერთობა მკვეთრად დაიძაბა. მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებზე არაერთი ზეწოლა განხორციელდა. ორგანიზაციას მუშაობის შეწყვეტას და რეგიონის დატოვებას სთხოვდნენ. ამ პროცესში დუშეთის სკოლა – პანსიონის დირექტორი დარეჯან თომაძე ზურაბ ოტიაშვილთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა. თომაძემ ოტიაშ-




ვილის კაბინეტში დაიბარა იმ ოფისის მეპატრონე, სადაც მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრია განთავსებული და მას მედიაორგანიზაციასთან ხელშეკრულების სასწრაფოდ შეწყვეტა მოსთხოვეს. ოფისის მეპატრონემ ზეწოლის მიუხედავად უკანონო მოთხოვნის შესრულებაზე უარი თქვა, რის გამოც ის სამსახურიდან გაათავისუფლეს. მას შემდეგ, რაც ზეწოლის ფაქტებით საერთაშორისო და ადგილობრივი უფლებადაცვითი ორგანიზაციები დაინტერესდნენ, ოფისის მეპატრონე სამსახურში დააბრუნეს.

სოფელ ოძისის საჯარო სკოლის დირექტორს სოფიო გაბრიელაშვილს აქამდეც არაერთხელ ჰქონდა ამომრჩეველთან „ქართული ოცნების“ შეხვედრის ჩაშლის მცდელობა. მიმდინარე წლის ივნისში, როცა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ზურაბ აბაშიძე და გუჯა ბურდული დუშეთის რაიონის სოფელ ოძისის მაცხოვრებლებს შეხვდნენ, შეხვედრაზე სოფლის საჯარო სკოლის დირექტორი სოფიო გაბრიელაშვილი მივიდა და ყვიროდა, რომ ოპოზიცია გაყიდულია და „ნაციონალურ მოძრაობას“ წინ ვერავინ ვერ დაუდგება, რასაც ადგილობრივების მხრიდან ხმაური მოჰყვა.

***მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი***

# საქართველოს ტელემაუწყებლობის ანალიზი გამოქვეყნდა

**ნინო ღვედაშვილი**

***ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ „საქართველოს ტელემაუწყებლობის ანალიზი“ წარმოადგინა. ანალიზი წინასაარჩევნო პერიოდში ტელემედიაში მიმდინარე მოვლენებს ეხება.***

კვლევა ბოლო 4 თვის ანგარიშს მოიცავს, სადაც ორგანიზაციამ ერთ-ერთ მთავარ საკითხად Must carry-სა და Must offer-ის რეგულაციების შემოღება გამოყო. კვლევის ერთ-ერთი ავტორი მამუკა ანდღულაძე ამ რეგულაციების ამოქმედებას დადებითად აფასებს და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მოუწოდებს, არჩევნების შემდგომაც განაგრძოს ამ წესების დამკვიდრება.

ორგანიზაცია ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლის ფაქტებსაც შეეხო. კონკრეტულად, ყურადღება „მეცხრე არხის“ რეგიონულ ჟურნალისტებზე თავდასხმებზე გამახვილდა. რეკომენდაციებში კვლევის ავტორები ხელისუფლებას მსგავსი ინციდენტების გამოძიებასა და შესაბამისი ზომების გატარებას სთხოვენ.

ამავე კვლევის მიხედვით, ბოლო თვეებში ტელევიზიის სექტორში სტრატეგიული პოზიციის მქონე რამდენიმე კომპანია, მათ შორის ისინიც, ვინც ტელეარხებსა და მათ აუდიტორიას შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებს, დიდ სირთულეებს გადააწყდა. ჟურნალისტური გამოძიების სტუდია „მონიტორის“ ოფისი გაძარცვეს, წაიღეს აპარატურა; ვიდეოაპარატურისა და მომსახურების კომპანია „ვიდეოსკოპი“, რომლის კლიენტთა შორის არის „TV9“ და „ქართული ოცნება“, საგადასახადო აუდიტის შედეგად დააჯარიმეს; „მაესტროსა“ და მომსახურების პროვაიდერი კომპანია „Global TV“-ის ათიათასობით სატელიტური ანტენა დააყადაღეს, აბრალებდნენ რა ამომრჩეველთა მოსყიდვას; „Global TV“-მ და „TV9“-მ განაცხადეს, რომ მათ მიერ იმპორტირებული ტექნიკური აღჭურვილობა დაზიანებულ იქნა საბაჟოზე ყოფნისას; ტრანსლაციის ინფრასტრუქტურის და მომსახურების პროვაიდერ კომპანია „სტერეო+“-ს, რომლის კლიენტთა შორის არის „TV9“, სამაუწყებლო ლიცენზია შეუჩერეს. „მე-9 არხის“ რეპორტიორების წინააღმდეგ დევნა-შევიწროება განხორციელდა ანტიოპოზიციონერი აქტივისტების მიერ, მათ წინააღმდეგ აგრეთვე განხორციელდა შანტაჟის მცდელობა, ჟურნალისტების მტკიცებით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებული პირების მიერ.

ქართული ტელემაუწყებლების ანალიზში მოყვანილია კომპანია „ვიდეოსკოპის“ დაჯარიმებისა და სტუდია „მონიტორის“ გაძარცვის ფაქტები. ასევე -„Global TV“-სა და „TV9“-ს სატელიტური თეფშების დაყადაღების საკითხი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ყურადღება ტელეკომპანიების შემოსავლების ფინანსური გამჭვირვალობის მნიშვნელობაზეც გაამახვილა. მამუკა ანდღულაძის თქმით, ორგანიზაციისთვის უცნობია, თუ რა რაოდენობის პოლიტიკური რეკლამები თავსდება „რუსთავი 2“-სა და „იმედში.“ ორგანიზაცია მაუწყებლებს მოუწოდებს, საკუთარ ვებ-გვერდზე განათავსონ ფინანსური მონაცემები.

ანალიზში ქართული ტელეარხების პოლიტიზებულობაზეც გაკეთდა აქცენტი. კვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოსახლეობა ამა თუ იმ სატელევიზიო არხს კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან აიგივებს.

კვლევის შედეგების მიხედვით, Must Carry/Must Offer -ის რეგულაციების წინასაარჩევნო პერიოდში დროებითი ამოქმედება მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგია. ეს საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეთა დიდ ნაწილს, წვდომა იქონიოს იმ ტელესადგურებთან, რომლებსაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ. სატელიტური პროვაიდერები უკვე სარგებლობენ Must Offer -ის რეგულაციით და ახლა აჩვენებენ არხებს, რომლებსაც ადრე ვერ აჩვენებდნენ, რადგან თავად სადგურები არ აძლევდნენ ამის უფლებას. ამ ახალი წესების ძალაში შესვლამდე შეზღუდული ტექნიკური წვდომა აუდიტორიასთან იყო უდიდესი გამოწვევა იმ ტელეარხებისთვის, რომელთაც არ აქვთ ეროვნული სიხშირული ლიცენზიები.

კვლევის ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონში შესულმა ცვლილებებმა, რომელიც ლიცენზიის მფლობელს ავალდებულებს, გახსნას ბენეფიციარი მფლობელების ვინაობა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტელევიზიათა მფლობელების ვინაობის გამჭვირვალობა. სატელევიზიო სადგურების ფინანსები ასევე უფრო მეტად გამჭვირვალე გახდა. 2012 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში „ტელეიმედისა“ და „რუსთავი 2“-ის შემოსავლებმა, 2011 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, იკლო. უფრო მცირე სადგურებმა „მაესტრომ“, „კავკასიამ“ და „25 არხმა“ მიიღეს მნიშვნელოვნად მეტი შემოსავალი რეკლამებიდან, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, თუმცა ძირითადად პოლიტიკური რეკლამის ხარჯზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ხელისუფლებას და სახელმწიფო ორგანოებს რეკომენდაციაც მისცა.

### რეკომენდაციები

• სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, პროკურატურამ და სასამართლომ უნდა უზრუნველყონ, რომ მედიასაშუალებებთან, ასევე იმ კომპანიებთან დაკავშირებული გამოძიება, რომლებიც მედიასაშუალებებსა და მედიის მომხმარებლებს შორის შუამავლის როლს ასრულებენ, სამართლიანად და გამჭვირვალედ წარიმართება. მედიასაშუალებებისა და მედიის მომხმარებელთა მიმართ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი უნდა იყოს პროპორციული და სიფრთხილით გადადგმული, რათა არ შეილახოს მედიის თავისუფლება და მოქალაქეთა უფლება, მიიღონ ინფორმაცია. მედიის სექტორის კომპანიები პასუხს უნდა აგებდნენ თავიანთ ქმედებებზე და არ უნდა დადგნენ კანონზე მაღლა. მათ წინააღმდეგ გატარებული ნებისმიერი ქმედება შესაძლოა პოლიტიკურად მოტივირებულად იქნას აღქმული. ხელისუფლებას შეუძლია ამ მოსაზრებებზე რეაგირება გამოძიებისთვის ყველა გამოსადეგი მტკიცებულების წარდგენით და გამოძიების პროცესის სამართლიანად და გამჭვირვალედ წარმართვის უზრუნველყოფით.

• ჟურნალისტებსა და მედიის მუშაკებზე ნებისმიერი სახის თავდასხმა, საბოტაჟი ან მათი მოვალეობების შესრულებაში ხელის შეშლის ინციდენტები ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოიძიოს და შესაბამისი მომდევნო ქმედებები გაატაროს.

• ჟურნალისტებსა და მედიის მუშაკებზე ნებისმიერი სახის თავდასხმა, საბოტაჟი ან მათი მოვალეობების შესრულებაში ხელის შეშლის ინციდენტები ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოიძიოს და შესაბამისი მომდევნო ქმედებები გაატაროს.

• კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, დაინტერესებულმა მხარეებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ სათანადო მეთვალყურეობა უნდა გაუწიონ აუცილებელი და სავალდებულო წესების (Must Carry/Must offer) შემუშავებას წინასაარჩევნო პერიოდში. ამ წესების მოქმედების პერიოდში მათი ეფექტი უნდა შეფასდეს, რის შემდეგაც პოლიტიკის შემქმნელებმა და კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სერიოზულად უნდა იფიქრონ ამ წესების სამუდამოდ დამკვიდრებაზე, რაც შექმნის წინაპირობას, რომ მათი მოქმედება არჩევნების დღის შემდეგაც გაგრძელდეს.

• საკაბელო ოპერატორებმა საკუთარი ნებით უნდა განაგრძონ იმ არხების თავიანთ პაკეტებში შეტანა, რომელთაც წინასაარჩევნო პერიოდში აუცილებლის სტატუსი ექნება მინიჭებული იმის შემდეგაც, რაც არჩევნების წინა დღეს დროებითი წესის მოქმედება შეწყდება და თავი შეიკავონ თვითცენზურისგან, ანუ მთავრობის მიმართ კრიტიკული არხების არჩევნებისგან. კრიტიკული არხების ამოღებამ საკაბელო პაკეტებიდან არჩევნების დღეს შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რადგან მომხმარებლებმა შეიძლება იგრძნონ, რომ ინფორ-

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# ნოდარ ნათაძე: საქართველოს უცხო ქვეყნის აგენტები მართავენ“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძესთან

***– ბატონო ნოდარ, მოგეხსენებათ, 7, 8 და 9 აგვისტო საქართველოს ისტორიაში არის ტრაგიკული დღეები, რომელმაც დაგვაკარგვინა ტერიტორიები. თქვენი დღევანდელი შეფასებები როგორია?***

– 2008 წლის აგვისტოს ომი 7-ში კი არა, 6-ში იწყება. 6 აგვისტოს უკვე წარმოებდა სრული მასშტაბით რუსეთის შემოსვლა საქართველოში, მაგრამ არა მემშვიდობეების, არამედ ჩვეულებრივი რეგულარული რუსული არმიის ნაწილების.

***– თუმცა, სააკაშვილი რომ მიდიოდა ცხინვალისკენ, მაშინ არ აცხადებდა, რომ რუსები იყვნენ შემოსული და მათთვის უნდა გაემართა ბრძოლა.***

– სააკაშვილის პირდაპირი კლასიკური ღალატი სამშობლოსი, სახელმწიფოსი ის არის, რომ მან 6 და 7 აგვისტოს, როდესაც რუსები შემოდიოდნენ საქართველოში, იკავებდნენ პოზიციებს და ახდენდნენ ამ პოზიციებზე ამ ძალების კონცენტრაციას, მაშინ მან ოფიციალურად არ განაცხადა. მსოფლიო ამას დანადგარებიდან ხედავდა, მაგრამ სააკაშვილმა რომ ეს არ განაცხადა, მისი მთავარი ღალატიც ეს იყო. რუსებს თავიანთი აგენტის სააკაშვილისთვის არ მიუციათ ასეთი რთული დავალება, დაეწყო ომი.

***– ბევრი ახლა ღიად საუბრობს იმაზე, ცხინვალისკენ რომ მიდიოდნენ, მიჰქონდათ ტრიბუნა, დროშები და ა.შ. იმაზეც საუბრობენ, თითქოს რუსები არ უნდა ჩარეულიყვნენ და არ ჩაერეოდნენ ამ პროცესში და სააკაშვილი ასე უმტკივნეულოდ დაიბრუნებდა ამ ტერიტორიას.***

– ეგ ტყუილია. როდესაც ეს ომი დაიწყო, ამას წინ უსწრებდა ქართველებით დასახლებული სოფლების ორკვირიანი დაბობვა. დაბომბვაზე სააკაშვილი ლაპარაკობდა. ეს ისეთი ქმედება იყო, რომ შეიძლებოდა მიწერილიყო ოსებისთვის და არა – რუსებისთვის, მაგრამ, როცა დაიწყო ომი, ანუ რუსეთის რეგულარული სამხედრო ნაწილების მასობრივი შემოსვლა საქართველოში, ეს იყო 6 და 7 აგვისტოს. ამაზე სააკაშვილი დუმდა.

***– სააკაშვილი დუმდა. სამაგიეროდ, როდესაც სააკაშვილი ცხინვალში შევიდა, რუსეთმა საქართველოს გაეროში უჩივლა და უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა მოითხოვა.***

– 6 და 7 აგვისტოს რუსები შემოვიდნენ საქართველოში, დაიკავეს სტრატეგიული სიმაღლეები, მოახდინეს ძალების კონცენტრაცია, ანუ ამ ორ დღეში 6 და 7 აგვისტოს დაიწყეს და დაამთავრეს ომი. დაიწყეს და მოიგეს ომი, ამით ომი უკვე დამთავრებული იყო. მერე უკვე 7 აგვისტოს, საღამოს 11 საათსა და 35 წუთზე, სააკაშვილს უბრძანეს, ახლა შენ ცხინვალში გაისროლე და გააფორმე დოკუმენტი, რომ ომის მდგომარეობაში ხარ, ანუ რუსებმა თავიანთ აგენტს სააკაშვილს უბრძანეს უკვე დაწყებული და წაგებული ომის გაფორმება და არა ომის დაწყება. სააკაშვილმა ეს გააკეთა. რუსეთმა ამის შემდეგ დაიცადა დაახლოებით 7-8 საათი და მხოლოდ 8-ში, გამთენიისას განაცხადა. შემდეგ რუსეთმა განაცხადა, სააკაშვილმა დაბობვა მოახდინა და ჩვენც იძულებული ვართ, ვუპასუხოთო.

***– რუსეთმა მაშინ გაეროში განაცხადა, ჩვენი სამშვიდობოები დახოცეს და იძულებული ვართ, ჩავერთოთ ომშიო. მაშინ ამით იმართლა თავი რუსეთმა გაეროში,***

– ეგეც განაცხადეს, მაგრამ, პირველ ყოვლისა, განაცხადეს, ქართველები ოსებს თავს დაესხნენო. ეს არის სააკაშვილის მთავარი ღალატი, მაგრამ ღალატი, რომელიც ამას წინ უსწრებდა, ისაა, რომ სააკაშვილმა ომის წინა დღეებში ან წინა რამდენიმე კვირაში რუსებს არ მოუხსნა სამშვიდობო სტატუსი. ე.ი. მტერს, რომელიც საქართველოში დგას და რომელიც, ფაქტობრივად, მთელ სოფლებს გინადგურებს არტილერიით, სამშვიდობო სტატუსს არ ართმევ.

***– ახლა ისეთ აზრებს აფრქვევენ, თითქოს რუსის ჯარისთვის სამშვიდობო ძალების სტატუსის მოხსნა საჭირო არ იყო, რადგან ისედაც ცხადი გახლდათ, რომ რუსეთი მტერი იყო და ეს გამოჩნდა.***

– ეს არის აბსურდი. რუსებს ჰქონდათ ოფიციალური სტატუსი – სამშვიდობო ჯარის. ეს იყო გაეროს მიერ მინიჭებული.

***– სხვა კუთხითაც რომ დავსვათ კითხვა – შეიძლება ვთქვათ, რომ სააკაშვილს უნდოდა, ცხინვალი დაებრუნებინა და სულსწრაფობა გამოიჩინა?***

– არა. ვერც იდიოტიზმით, ვერც ბავშვური ტვინით, ვერც სულსწრაფობით სააკაშვილის მოქმედებას ვერ ახსნი. ამას აქვს ერთადერთი ახსნა – რუსული დავალება, მოღალატეობის დავალება.

***– ახლა სააკაშვილი თითქოს ძალიან წუხს – ტელევიზიით აჩვენებდნენ, დაღუპული ჯარისკაცის დაკრძალვაზე იყო მისული და ნიანგის ცრემლებს ღვრიდა.***

– სააკაშვილს არტისტობა ეხერხება.

***– ახლა უნდა გვაჩვენოს, თითქოს ძალიან წუხს, მაგრამ მაშინ ცხინვალში შევიდა და სოფლები კი დაუცველი დატოვა – მთელი მოსახლეობა – ბავშვები, ქალი, კაცი მოხუცი ყველა ბრძოლის ქარცეცხლში დატოვა. თუ ასეთ სერიოზულ ომს აპირებდა ან ოპერაციასატარებდა, მინიმუმ მოსახლეობა ტყეში მაინც არ უნდა გაეხიზნა?***

– სააკაშვილი რომ წინდაწინ მუშაობდა ტერიტორიის გაცემაზეც და ხალხის განადგურებაზეც, ეს ცნობილი იყო. ახალგორში რუსი არ შესულა, მაგრამ სააკაშვილმა თავისი მმართველობის ხუთი წლის მანძილზე არ მისცა საშუალება ახალგორელებს, ოსების მიერ დატოვებული მიწა აეთვისებინათ და, ასე ვთქვათ, იქ თავიანთი მეურნეობა აეწყოთ. ის ადგილები ნადგურდებოდა, ხალხი სიღარიბით, სილატაკით ნადგურდებოდა, მაგრამ სააკაშვილი იქ თითის განძრევის საშუალებას არავის აძლევდა, რომ ეს განადგურება შეწყვეტილიყო. სააკაშვილი არის

დივერსანტი – არა მარტო ტერიტორიის მიმართ არის დივერსანტი, არამედ მოსახლეობის მიმართაც.

***– ბატონო ნოდარ, ახლა ხშირად საუბრობენ როკის გვირაბის ჩაკეტვის შესაძლებლობაზე. გვირაბი რომ ჩაკეტილიყო, შესაძლოა, ომის ბედი სხვაგვარად გადაწყვეტილიყოო. თქვენ ერთხელ მითხარით, რომ როკის გვირაბი ისედაც დაზიანებული იყო.***

– დიახ, დიახ...

***– და იმ შესვენებით, როდესაც სააკაშვილმა თითქოს დერეფანი გააკეთა, რუსებმა ისარგებლეს.***

– სააკაშვილმა რუსებს 4 საათი და 30 წუთის შესვენება მისცა.

***– ამის შესახებ თქვენთვის საიდან არის ცნობილი?***

– პროფესიული წყაროებიდან ვიცი. ეს არსად დაწერილა და



არ გაცხადებულა.

***– ანუ ოთხ-ნახევარი საათი იმიტომ შეაჩერა ბრძოლა, რომ რუსებს როკის გვირაბი გაეწმინდათ?***

– ის გვირაბი გრძელია, რამდენიმე კილომეტრია. მაშინ იქ რუსები ჩაიხრჩობოდნენ, ვენტილაცია იყო გაფუჭებული. ეს არის ისეთი ფაქტი, რომლის მსგავსი ისტორიას თითქმის არ შეუქმნია.

***– ბატონო ნოდარ, მოგეხსენებათ, საბერძნეთმა ტერიტორია რომ დაკარგა, თუ არ ვცდები, ოთხი გენერალი დასაჯა. – დიახ, ბერძნებმა ოთხი გენერალი დახვრიტეს.***

– ახლა მე ვინმეს დახვრეტას კი არ ვითხოვ, მაგრამ იმ სამარცხვინო მარცხისა და დაკარგული ტერიტორიების გამო, რაც საქართველომ განიცადა აგვისტოს ომის შედეგად, პასუხისმგებლობა არავის უნდა დაეკისროს? ჩვენ რატომ ვიტანთ ომის წამგები მთავარსარდლის პარპაშს?

ჩვენ ხომ სახელმწიფო არ გვაქვს. ჩვენს ქვეყანას მართავს უცხოეთის აგენტურა. ეს არის მთელი ამოცანის თავი და ბოლო. საქართველოში 1991-92 წლების მიჯნაზე მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება და მოიყვანეს თავიანთი აგენტურა, რომელმაც შემდეგ მოათრია შევარდნაძე. შევარდნაძეც მათი აგენტი იყო. სააკაშვილიც შევარდნაძის სანქციით ისევ რუსებმა მოათრიეს. მართალია, სააკაშვილი ამერიკის ფავორიტად ითვლება, მაგრამ მის მოყვანაში რუსეთის ხელი ძალიან ერია.

***– ანუ, თქვენი შეფასებით, სააკაშვილი აგვისტოს ომის პერიოდში რუსეთის გეგმებით მოქმედებდა?***

– რა თქმა უნდა. ახლა უკვე გადაწყვეტილია, რომ რუსები იქიდან ყველა შემთხვევაში წაეთრევიან. რუსები ჩვენი ტერიტორიებიდან ყველა შემთხვევაში გავლენ.

***– როგორ?***

– ტელეფონით. ძალის ფონზე (ცოტა მეტაფორულად ვლაპარაკობ), მაგრამ ტელეფონებით, ან პირიქით, ტელეფონებით, მაგრამ ძალის ფონზე, რუსები აქედან გაიყრებიან. რუსები ჩრდილო კავკასიიდანაც აუცილებლად გაიყრებიან. ეს გარდაუვალია. ამას ვინც ვერ ხედავს, იდიოტია.

***– რით ჩანს, რომ რუსები აქედან გაიყრებიან, ამაზე რა მიგანიშნებთ?***

– რუკითა და პროცესების განვითარებით ვხედავ. ორ წელზე ნაკლებია მიმდინარეობს ხმელთაშუა ზღვის წმენდა რუსული აგენტურისაგან. ეს წმენდა ახლაც გრძელდება. ბაშარ ასადი დღე-დღეზე იქ აღარ იქნება და პრორუსული ხელისუფლებაც აღარ იქნება. ამის შემდეგ ბუნებრივად (ამას არავითარი ძალისხმევა აღარ დასჭირდება) დაიწყება შავი ზღვის გათავისუფლება რუსულ-თურქული ტბის სტატუსისაგან. დღეს რომ რუსი პარპაშებს შავ ზღვაზე და ამერიკას ემუქრება (ბალტინის პირით რომ დაემუქრა), შენს გემებს ჩავძირავო და ამერიკის გემები არ შემოუშვა შავ ზღვაში, ახლა ასეთი სიტუაცია აღარ იქნება. ახლა ბულგარეთსა და რუმინეთში ნატოს ბაზები უკვე არის. ახლა რუსეთი ამას ველარ იტყვის. დაიწყება ეგეოსის ზღვასა და შავ ზღვაში შემოსვლა საკმარის ტემპში და რუსეთის ფლოტი ჩაჭკნება შავი ზღვის ტბებში, სევასტოპოლსა და ნოვოსიბირსკში. შავი ზღვა ჩვენი მტერი აღარ იქნება. შავი ზღვა იქნება ჩვენი და რუსეთი იქ ველარ გაჩერდება ვერც ბომბორაში და ვერც ჩრდილო კავკასიაში.

***– რუსეთმა შეიძლება საქართველოს ტერიტორიიდან ჯარი რეალურად გაიყვანოს, მაგრამ მას ჩვენი სტრატეგიული ობიექტები მთლიანად დაკავებული აქვს, მთელი ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი ათვისებული აქვს და დღეს სხვადასხვა ხერხებით ცდილობს, ისევ სააკაშვილი დარჩეს ხელისუფლებაში. ამაზე რას იტყვით?***

– ეს არის ძალიან არსებითი კითხვა, რომელიც ახლა თქვენ დასვით. რუსეთის ყველა ეკონომიკური მიღწევა საქართველოში დამყარებულია კანონსაწინააღმდეგო აქტებზე, კორუფციულ გარიგებებსა და კორუფციულ შეთანხმებებზე. ამიტომ ეს ყველაფერი ექვემდებარება გაუქმებას, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.

***– თუმცა, ასე პირდაპირ გაუქმება და დაპირისპირება ძნელია. იმდენი ორგანიზაცია, საწარმო და საბადოები აქვთ გადაცემული რუსეთისთვის, რომ ასე პირდაპირ, ერთი ხელის მოსმით ამის გაუქმებას ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს.***

– არა. საქართველოს ხელისუფლებას (ვგულისხმობ ერთგულ ხელისუფლებას) აქვს არგუმენტი – ყველა ის გარიგება არის კორუფციული და დადებულია არალეგიტიმური ხელისუფლების მიერ, რომელიც ხელისუფლებაში უკანონო გზითაა მოსული და დარჩენილი – ყველა არჩევნები გააყალბა. შეიძლება, ქართული ეკონომიკიდან რუსები გაყარო კომპენსაციის მიცემით, ანუ ის კაპიკები, რომელიც გადაიხადეს (სიმბოლური ფასი), უკან გადაუყარო. ამაში, საერთოდ, არანაირი პრობლემა არ არსებობს, მაგრამ, ვინაიდან კორუფციული გარიგებაა, შეიძლება გაკეთდეს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშეც. აგვისტოს ომის თაობაზე ტალიავინის დასკვნაც იყო გაყიდული.

***– თუმცა, ამ დასკვნაზე საქართველოს ხელისუფლებას არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამს.***

– აგენტები არიან და როგორ გამოთქვამდნენ.

***– ახლა სხვებზე ანტირეკლამებს აკეთებენ, მაგრამ რეალურად ტალიავინის დასკვნა პირდაპირ იმით იწყება, რომ სააკაშვილმა ცხინვალის მასირებული დაბომბვა დაიწყო, შემდეგ ჩაერთო რუსეთი და ამით დაიწყო ომიო. ამ დროს სხვებს ედავებიან, ამას რატომ ამბობთო.***

– ტალიავინის დასკვნაში 500 გვერდზე მეტს ფაქტები მოიცავს, რომელიც ჩვენ სასარგებლოდ ლაპარაკობს. დასკვნები არ გამომდინარეობს ფაქტებიდან. ესაა თაღლითობა.

***– ჰო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას ამაზე ხმაც არ ამოუღია.***

– ხმა არ ამოუღია იმიტომ, რომ ტალიავინი რუსეთის მხარესაა. ტალიავინი არის რუსეთის მოციქული. ამას რუსის აგენტი სააკაშვილი ვერ იტყვის, მაგრამ მსოფლიომ ტალიავინის დასკვნა ფეხებზე დაიკიდა. ეს ფაქტია. ამ დასკვნას სერიოზულად არავინ ახსენებს.

***– გასაგებია, მაგრამ, როცა დასჭირდებათ, სასამართლო პროცესზე ამას გამოიყენებენ, რადგან იქ მითითებულია, რომ ამ საკითხზე მუშაობისას ისინი შეხვდნენ ყველა მხარეს – ლიდერი ქვეყნების მთავრობებს, მეგობართა ჯგუფს, არამეგობრებს, აფხაზებისა და ოსების წარმომადგენლებს, ნატოს წარმომადგენლებს, ევროსტრუქტურების წარმომადგენლებს, ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ლიდერებს. მათ შორის, საქართველოსა და რუსეთის მთავრობებსაც. ასე რომ, სასამართლო პროცესზე რომ წარადგინონ, სასამართლო ამ დასკვნას რაღაც სახით გაითვალისწინებს.***

– არა, იქ წერია, რომ 6 და 7 აგვისტოს რუსების მოძრაობა ჩვენ ვერ დავადასტურეთო. რას ჰქვია, ვერ დაადასტურე? ამ კომისიას ერქვა ფაქტების დამდგენი კომისია. მსოფლიომ დაადასტურა – ეს ყველაფერი თანამგზავრებიდან არის გადაღებული.

***– დასკვნაში წერია, რომ თანამგზავრების გადაღებული მასალები მათ ვერ მოიპოვეს.***

– ე.ი. მათ სამუშაო ვერ შეასრულეს.

***– დასკვნაში კითხვაცაა დასმული, არის თუ არა გამართლებული საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება ცხინვალში შესვლის თაობაზე? და იქვე პასუხია, რომ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება (სააკაშვილი საერთოდ არ არის ნახსენები) ცხინვალში შესვლის შესახებ არ არის გამართლებული. რუსეთის მოქმედება შეფასდა, როგორც გადამეტებული ძალის გამოყენება. თანაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოლქის საზღვარს რომ გამოსცდა რუსის ჯარი, ამიტომ შეაფასეს გადამეტებული ძალის გამოყენებად.***

– არა, ამიტომ არ არის ძალის გამოყენებად შეფასებული. რუსეთის მიერ საქართველოს დაბომბვის გამო შეაფასეს გადამეტებული ძალის გამოყენებად.

***– თან დასკვნაში წერია, საქართველოს ხელისუფლება აღიარებს, რომ მან აკრძალული იარაღი გამოიყენა, რუსეთის ხელისუფლება კი ამას არ აღიარებს. ამ დროს რუსეთმაც გამოიყენა აკრძალული იარაღი.***

– საქართველოს ხელისუფლება აღიარებს იმას, რასაც რუსეთი უბრძანებს, მაგრამ ფორმულირება, რომ ომი დაიწყო სააკაშვილმა, არ არის სწორი, იმიტომ, რომ ასეთი რთული დავალება რუსეთმა სააკაშვილს არ მისცა. რუსეთმა სააკაშვილს მისცა ასეთი დავალება: სამი დღე გაჩუმდი, ანუ 6 და 7 აგვისტოს გაჩუმდი. სააკაშვილი გაჩუმდა. განაცხადა მაშინ, როცა უკვე გვიან იყო.

***– ამბობენ, რომ სააკაშვილი თავისი უგონო მოქმედებით ჩაერთო ამ ბრძოლაში, რუსეთის პროვოკაციას წამოეგო. ეს ძალიან რბილი შეფასებაა, მაშინ როცა ამხელა დანაშაულია ჩადენილი.***

– სააკაშვილი პროვოკაციას კი არ წამოეგო, არამედ შეასრულა რუსის დავალება. მე ჩემი ყურით მოვისმინე ტელევიზორის ეკრანიდან, როგორ ეკითხება გერმანელი პარლამენტარი საქართველოს მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ ეკა ტყეშელაშვილს, ქალბატონო მინისტრო, ყველაფერს გიჯერებთ, მაგრამ, ამიხსენით, თქვენი პრეზიდენტი ასეთ მარტივ სატყუარას როგორ წამოეგოო. ე.ი. ის დიპლომატიური ენით ეუბნება, ეს განგებ გააკეთაო. გარდა ამისა, ნატოს კაცთან მილაპარაკია ამაზე ომიდან ორი თვის შემდეგ. მან თქვა, ყველანი გაკვირვებული ვართ, სააკაშვილმა ასეთი მარტივი საკენკი როგორ აკენკაო. მათ ესმით, სააკაშვილმა რა გააკეთა – თეთრი ძაფით შეკერილი სახელმწიფო ღალატი ჩაიდინა. ერთი, რომ თავიდან გაჩუმდა, მეორე, რუსებს სამშვიდობოების მანდატი არ გაუუქმა, შემდეგ – რუსებს გვირაბში სულის ამოხდომის საშუალება არ მისცა და სამოქალაქო პირებს სამხედრო ოპერაციების მართვაში ჩარევის საშუალება მისცა, კერძოდ, უგულავასა და თარგამაძეს. ეგენი ყველა ქვეყნის კანონით დასახვრეტები არიან. დახვრეტის გარდა, მაგათ არაფერი ეკუთვნით.

# პაატა ზაქარეიშვილი: აზრზე თუ მოვლენ, ნაციონალები ციხეს გადაურჩებიან“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან

***– ბატონო პაატა, აგვისტოს დღეებია და მოდით, შევაფასოთ ოთხი წლის წინ განვითარებული პროცესები. პუტინის განცხადებამ ბევრი გააკვირვა. ბევრს კი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ის სააკაშვილის პიარზე მუშაობს. როგორია თქვენი, როგორც ექსპერტ-კონფლიქტოლოგის შეფასებები?***

– ეს ხომ ჩანდა, რომ დიდხანს ემზადებოდა ამისათვის რუსეთი. მთელი ჩვენი უბედურება – ქართული პოლიტიკის უბედურება და სააკაშვილის უბედურება ისაა, რომ მის გარდა ყველა ხედავდა, პუტინი ითრევდა მას ომში. 2006 წლიდან მოყოლებული, ეს ნათლად ჩანდა. 2008 წელს კი მან ჩააყოფინა ხაფანგში ფეხი. როგორც პროფესიონალი მონადირე, პუტინი ელოდებოდა, როდის შეითრევდა სააკაშვილს ცხინვალში და, სამწუხაროდ, მას ეს გამოუვიდა. პუტინმა დაადასტურა ის სამარცხვინო ფაქტი, თუ როგორ ეჩალიჩებოდა სააკაშვილს წამოეგო პროვოკაციაზე და ამას მიაღწია კიდეც. მე ვეუბნეოდი, ვყვიროდი 2007 წელს აპრილში, ვწერდი, რომ პუტინი გვიგებს ხაფანგს ცხინვალში. არა, ამათ სჯეროდათ, რომ რუსეთს ომი არ აინტერესებთ. მთელი ტრაგედია ამ უბედურების არის ის, რომ თვითონ აქვთ აღიარებები. წაიკითხეთ ვიკილიქსის გამოქვეყნებული მასალები 2007 წლის მაისში, მერაბიშვილი როგორ აჯერებს მტერს, რომ რუსეთი არაა დაინტერესებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებით. დღეს კი გამოდიან და ტრაბახობენ, ხომ ხედავთ, რუსეთი ემზადებოდა ომისათვისო, იმის მაგივრად, რომ ხმა ჩაიკმინდონ. თურმე როგორ აგლახავებდა, აპამპულავებდა და აბურთავებდა რუსეთი და ეს დოყლაპიები, სახელმწიფოს ხერხემალი რომ ჰქვია – მერაბიშვილი, ასე პირდაფჩენილს სჯეროდა გენერალ კომოკოროვის. მე ვხედავდი ამას და მერაბიშვილი ვერ ხედავდა. ეს აღიარა პუტინმა და ამათ რა უხარიათ, მე ვერ გავიგე. უხაროდეთ კი არა, ქუდი უნდა დაიხურონ და ყველანი უნდა ჩაბარდნენ ისტორიას. ყველანი უნდა გადადგნენ. 2007 წლის დეკემბერში სააკაშვილი გამოდის და აცხადებს, რომ პუტინს ჩემთან წამოსცდა, მათ ცხინვალი არ აინტერესებთო. მშვენიერი მაგალითი, რუსეთი მას ეჭიდავება და იწვევს ომში, სააკაშვილს, დოყლაპიას, პირი დაუფჩენია და ბედნიერია იმით, რომ რუსებს წამოსცდათ, ცხინვალი არ გვაინტერესებსო. თურმე ეს ყოფილა 2006 წლიდან რუსეთის მიერ დამტკიცებული გეგმა.

***– რატომ აღიარა მაინცდამაინც დღეს, ეს კითხვის ნიშნებს არ ბადებს?***

– იმიტომ რომ არის უტიფარი, ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი და აჩვენა მსოფლიოს, თუ რა არის საქართველო, რა ბედშავია სააკაშვილის ხელში. აჩვენა მსოფლიოს, თუ როგორ გააპამპულა და გაამაიმუნა სააკაშვილი თავისი ქცევებით. აი, ამიტომ თქვა, რომ ეჩვენებინა – სააკაშვილი არავინაა, ნულია და, როგორც უნდოდა, ისე ათამაშებდა.

***– ბატონო პაატა, რამდენად შეიძლებოდა ოთხი წლის წინ ამ ტრაგედიის თავიდან აცილება?***

– თავისუფლად შეიძლებოდა ბოლო წუთამდე. ვიდრე ქართული ტანკები გადაადგილდებოდნენ ცხინვალის ქუჩებში, მანამდე შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება. სამწუხაროდ და საუბედუროდ, რუსეთმა ყველაფერი გააკეთა, რათა მიეღწია იმისათვის, რომ საქართველოს ეპასუხა ცეცხლისთვის მასირებული ცეცხლით, ცხინვალის დაბომბვით და შემდეგ ტანკების გადაადგილებით. სწორედ ამაზე ლაპარაკობს ტალიავინის ანგარიში, სადაც ამბობს, რომ ომი გახდა შეუქცევადი მას შემდეგ, რაც საქართველოს მხრიდან მასირებულ დაბომბვას პასუხად მოჰყვა რუსეთის არაადეკვატური პასუხი. რუსეთი მართლა აგრესორია, რუსეთი მართლა ოკუპანტია, მაგრამ ამის პროვოცირება მოახდინა ქართულმა მხარემ. ეს გაგვაკეთებინა ჩვენ რუსეთმა და სწორედ ეს არის ჩვენი ტრაგედია. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომ მე კაცს დავარტყა ერთი მუშტი და მერე იმან მე მაგრად გამლახოს, მაგრამ მე დავარტყი პირველი მუშტი და ეს არის ჩემი ტრაგედია. ტალიავინის ანგარიში ამბობს, რომ სწორედ სააკაშვილის ავანტიურისტულმა და ვოლუნტარისტულმა ნაბიჯებმა გამოიწვია ეს უბედურება და ეს ტრაგედია, დააწყებინა რა რუსეთმა მასირებული დაბომბვა და ტექნიკის გადაადგილება ცხინვალის ქუჩებში.

სააკაშვილი რომ ამბობს, 7 აგვისტოს შემოვიდა რუსეთის ტანკებიო, ეს არის სიცრუე. ამით ცდილობს, თავისი ნაბიჯი გაამართლოს. რუსეთის ტანკები 7-ში კი არ შემოვიდნენ, ექვსში შემოდიოდნენ, ხუთშიც და ოთხშიც. 31 ივლისს ანუ რვა დღით ადრე მე პაატა ზაქარეიშვილი ვწერდი გაზეთში, რომ ცხინვალში შემოდიოდა რუსული ტექნიკა და მოვუწოდებდი მთავრობას, ნუ თამაშობდა რუსულ თამაშს. ტანკები შვიდში კი არ შემოსულან, მანამდეც შემოდიოდნენ და შვიდშიც და რვაშიც. მთელი უბედურება ის არის, რომ სააკაშვილს იმდენად სჯეროდა, რუსეთი მას ცხინვალს უთმობდა, ყველაზე დიდი კომპრომატი გამოაქვეყნა 2008 წლის 9 აგვისტოს. ომის დაწყებიდან მესამე დღეს ხუთ საათზე მან გამოაქვეყნა თავისი ბრძანებულება საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. 9 აგვისტოს, ხუთ საათამდე, მას ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ რუსეთი მის თამაშს თამაშობდა და თითქოს რუსეთი ცხინვალს



უთმობდა. 9 აგვისტოს, 5 საათზე მიხვდა, რომ ომი გარდაუვალი იყო. ნახეთ 2008 წლის 9 აგვისტოს პრეზიდენტის განკარგულება, სადაც წერია, რომ 7-8 აგვისტოს ღამით ოსმა სეპარატისტებმა განახორციელეს ინტენსიური დაბომბვა ქართული სოფლებისა, რასაც ქართულმა მხარემ ადეკვატურად უპასუხა. რუსეთზე საერთოდ საუბარი არ არის. შემდეგ ეპიზოდში ამბობს, რომ რუსეთმა მხარი დაუჭირა ოს სეპარატისტებს. ამას სააკაშვილი სხვათა შორის კი არ ლაპარაკობს, ამას აღიარებს და ეს ბრძანებულებაშია ჩაწერილი, რომ რვა აგვისტოს შემოვიდა რუსეთი. დღეს ეს დოკუმენტი დამალულია. „რუსთავი 2“, „იმედი“ – ყველა უმალავს საქართველოს ამ დოკუმენტს. დოკუმენტში პირდაპირ წერია, რომ რუსები შემოვიდნენ 8 აგვისტოს და არა 7 აგვისტოს, ანუ მითი, რომ რუსები შემოვიდნენ შვიდში, საქართველოს ხელისუფლებაში ითხზება მხოლოდ 9 აგვისტოს, ხუთი საათის შემდეგ, რადგან ამ დროს გამოქვეყნებულ ბრძანებულებაში ჯერ კიდევ არ არის ნახსენები 7 აგვისტოს შემოსული რუსები.

***– თუმცა ჩვენი ხელისუფლება არასდროს აღიარებს სიმართლეს და დამნაშავეს ყოველთვის სხვაგან ეძებს, თითს ყოველთვის სხვისკენ იშვერს, მას არასდროს უღიარებია თავისი დანაშაული.***

– ეს არის ავტორიტარული რეჟიმის სტილი. შეცდომის აღიარება მისთვის სისუსტეა, როცა შეცდომის აღიარება ღირსება და სიძლიერეა, მაგრამ მაგას მაგდენი არ ესმის. მაგის ტრაგედია სწორედ ეს არის და ამიტომ მიჰყავს თავისი თავიც და ქვეყანაც უფსკრულში, რომ უნარი არ აქვს, შეცდომები აღიაროს. ეს არ არის მხოლოდ სააკაშვილის პრობლემა, ეს არის ავტორიტარული რეჟიმების პრობლემა. ეს იყო კადაფის პრობლემა, ეს იყო მუბარაქის პრობლემა, პინოჩეტისა და ჩაუშესკუს პრობლემა. შეცდომების არაღიარებით ისინი საკუთარ თავს და, შესაბამისად, ქვეყანასაც უმძიმეს მდგომარეობაში აგდებდნენ.

***– აგვისტოს დადგომასთან ერთად, ხელისუფლება კვლავ საომარ მოქმედებებზე ალაპარაკდა. თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია რუსეთის მხრიდან ახალი აგრესია?***

– რამდენადაც ვხედავდი, საფრთხეს ომის დაწყებისა 2007-2008 წლების განმავლობაში იმდენად ვერ ვხედავ დღეს. მაშინ ჰაერში ტრიალებდა ომის სუნი. რუსეთს სჭირდებოდა ომი, რათა საქართველო დაეზარალებინა, ვერ გამხდარიყო ნატოს პოტენციური წევრი სახელმწიფო და საქართველო არ წასულიყო ევროპისაკენ. რუსეთი ჩქარობდა, არწმუნებდა სააკაშვილს, რომ მას ცხინვალი არ აინტერესებდა და მაქსიმალურად უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად ჩაერთო საომარ მოქმედებებში. ახლა რუსეთმა ყველაფერი მიიღო, რაც უნდოდა, ამ ომით. დღეს აღარ სჭირდება მას ომი. დღეს ის მსოფლიოში ავრცელებს მითს, რომ ვითომ ის არის მშვიდობისმყოფელი. მას სულ მალე ოლიმპიადა ელის. ახლა მალე ლონდონის ოლიმპიადა ჩაივლის და მთელი მსოფლიო გადაერთვება სოჭის ოლიმპიადის სამზადისზე. მთელი ყურადღება იქნება სოჭის ოლიმპიადაზე. ამიტომ რუსეთს რუსეთს სჭირდება მშვიდობა მთელ კავკასიაში. ის დაუმტკიცებს მთელ მსოფლიოს, რომ მას ომი არ სჭირდება. ამიტომ არანაირი ომი მოსალოდნელიც კი არაა. ის წვრთნები, რაც უნდა განხორციელებულიყო, ისიც გადაიდო. ამით რუსეთი მსოფლიოს აჩვენებს, რომ ის არ არის დაინტერესებული კავკასიაში და მით უმეტეს საქართველოში საომარი მოქმედებებით.

***– მოდით, არჩევნების საკითხსაც შევეხოთ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ხელისუფლება სულ უფრო აგრესიული ხდება. ივანიშვილის საწინააღმდეგოდ სულ ახალ-ახალ კანონებს იღებენ და ყველანაირად ხელს უშლიან საარჩევნო კამპანიის წარმართვაში.***

– ეს არის შეშინებული ხელისუფლების უგუნური ქცევები. ამით კიდევ უფრო აძლიერებენ ივანიშვილს და კიდევ უფრო ასუსტებენ თავიანთ პოზიციებს, საზოგადოებაში სულ უფრო შეაქვთ განწყობა, რომ ისინი უსუსურები არიან და ეშინიათ ყველასი და ყველაფრის. ხალხის ეშინიათ და სააკაშვილის გარშემო შიშის სუნის სიმყრალეა. სააკაშვილის გარშემო ყველა ხვდება, რომ ის ძალიან მალე დამარცხდება. ყველა მისი გამოსვლა შეშინებული კაცის ქცევებია. ინდაური რომ აიფხორება, ისე ემართება. სააკაშვილმა ერთხელ თავისი მინისტრები გაფხორილ ფარშევანგებს შეადარა, სინამდვილეში ინდაურები არიან, რომ აიფოფრება ინდაური და ვითომ შემოტევა რომ უნდა, აი, ეს ქცევა აქვს სააკაშვილს. მას იმდენად ეშინია ამ პროცესების, რომ თვითონ იქცევა ისე, თითქოს ხალხის დაშინება უნდა. ეს ძალიან უსუსურია. სააკაშვილის კბილები უუნარო და ხელოვნურია, აღარავის ეშინია დღეს მისი.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ განწირულია სააკაშვილი?***

– რა თქმა უნდა. ეს აშკარად ჩანს, რომ განწირულია. ამას თვითონ აღიარებს, ასე რომ არ იყოს, ის ამდენს არ ილაპარაკებდა. მან დღემდე გვარი ივანიშვილი ვერ ახსენა, ლამის მთელი წელი გავიდა და ეს ვერ გაბედა. ეს ძალიან დიდ ტრავმაზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, განწირულია. როგორ ბედავს და აბრალებს ივანიშვილს იმას, რაც თვითონ გააკეთა. თვითონ ჩააბარა რუსეთს ყველაფერი. თვითონ გახდა რუსეთის მარიონეტი. პუტინმა დაამტკიცა, რამდენად მართავდა ის სააკაშვილს და რამდენად რუსული პროექტი იყო სააკაშვილი. 2008 წლიდან მოყოლებული აკეთებდა იმას, რაც პუტინს უნდოდა. ის არის ნული, მას აღარაფერი დარჩენია და გადავიდა იმის დაბრალებაზე, რაც თვითონ არის. სანამ სააკაშვილს აძლევდა ივანიშვილი ფულს, მაშინ კარგი იყო ეს ფული და, როგორც კი თავისი თავი დააფინანსა ივანიშვილმა, ეს უკვე რუსული ფული გახდა?! ყველა დასცინის მას ამის გამო და ყველა ამბობს, როგორ შეიძლება, ის რუსული ფული იყოს, რაც თავის დროზე ქართული ფული იყო, როცა სააკაშვილს ხმარდებოდაო.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, ნაცმოძრაობა აღმოჩნდება ამ არჩევნების შედეგად ოპოზიციაში?***

– ნაციონალური მოძრაობა, რა თქმა უნდა, ოპოზიციაში იქნება და მათ მოუწევთ ოპოზიციიდან ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ივანიშვილი იმიტომ არ მოდის, რომ შური იძიოს და რევანში აიღოს, იმიტომ მოდის, რომ ქვეყანა დაალაგოს. ნაცმოძრაობა თუ აირჩევს სწორ გზას და გონს მოვა, იქნებიან ოპოზიციაში და არა ციხეში.

***– თუმცა ბევრს არ სჯერა, რომ ასე მარტივად დათმობენ.***

– მარტივად არ დათმობენ, მაგრამ დათმობენ. ყველა ამბობს, რომ სააკაშვილი მარტივად არ დათმობს. სიტყვას „დათმობს“ ყველა ამბობს, ვეთანხმები, სააკაშვილი დათმობს არამარტივად. ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ სააკაშვილი არჩევნების გზით გავისტუმროთ. თუ სააკაშვილი არჩევნების გზით მიდის, მაშინ ხალხის უფლებაა, გაასამართლოს სააკაშვილი და მისი რეჟიმი, პასუხი მოსთხოვოს კანონით. სააკაშვილი თუ გრძნობს, რომ მიდის, შეიძლება, რევოლუციით წასვლა მოუნდეს. როცა რევოლუციით მიდის ხელისუფლება, შევარდნაძის არ იყოს, შეთანხმებით მიდის მაშინ, რომ სისხლი არ დაიღვაროს. როგორც წავიდა აბაშიძე, როგორც წავიდა შევარდნაძე. რევოლუციით არ უნდა გავუშვათ სააკაშვილი, თორემ შესაძლოა ამ შემთხვევაში ის გადაურჩეს მართლმსაჯულებას. ყველამ კარგად უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ სააკაშვილი აუცილებლად უნდა წავიდეს არჩევნებით. თუ არჩევნებით მიდის, მაშინ ჩვენ გვაქვს შანსი მისი გასამართლებისა. თუ არჩევნებით ვერ მიდის და მიდის რევოლუციით, რაც მას აწყობს, ის აუცილებლად მოაწყობს რევოლუციას, თუ ჩვენ ყველა არ მივედით არჩევნებზე და არჩევნების გზით არ გავისტუმრეთ. მას უნდა რევოლუცია. რევოლუცია არ უნდა სხვას არავის, გარდა სააკაშვილისა. რევოლუციის გზით წასვლით ის ინარჩუნებს თავის გადარჩენის შანსებს. ვისაც უნდა, სააკაშვილი დაისაჯოს, კეთილი ინებოს და გაისიგრძეგანოს, რა განსხვავებაა რევოლუციით წასულ სააკაშვილსა და კონსტიტუციით წასულ სააკაშვილს შორის. ის ნებისმიერ შემთხვევაში მიდის. როცა საუბარია, რომ მარტივად არ წავა, სწორედ ეს იგულისხმება, რომ ის მოაწყობს რევოლუციას. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს არ დავუშვათ.

# საქართველოს ტელემაუწყებლობის ანალიზი გამოქვეყნდა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მაციას მოსწყვიტეს.

• მომხმარებლებმა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა უნდა დააინტერესონ საკაბელო ოპერატორები, რათა ისინი უფრო მგრძნობიარე და მოქნილი გახდნენ მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი. ეს კი მომსახურების პროვაიდერებს სტიმულს მისცემს, კლიენტებს კვლავაც პლურალისტული პაკეტები შესთავაზონ, სავალდებულო წესის ვადის გასვლის შემდეგაც კი.

• ახალმა პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს წინადადება აჭარის ტელევიზიისთვის სტატუსის შეცვლის შესახებ და შესაძლებლობისამებრ შეუერთოს არხი საზოგადოებრივ მაუწყებელს. აჭარის ტელევიზიის მიერ გამოყენებული სიხშირეები უნდა გაუნაწილდეს საზოგადოებრივ მაუწყებელს და/ან კონკურენტული პროცედურის გავლით გადაეცეს დაინტერესებულ კერძო ტელეარხებს.

• ლიცენზიის მფლობელთა მესაკუთრეებისა და მათი ფინანსების გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა იფიქროს მარტივად გამოყენებადი მონაცემთა ბაზის შექმნაზე, რომლიდანაც იგი თავის ვებგვერდზე რეგულარულად და პროაქტიულად გამოაქვეყნებს ფინანსურ მონაცემებს (ამჟამად გაიცემა თხოვნისამებრ) და ინფორმაციას მფლობელთა შესახებ დოკუმენტები კი ხელმისაწვდომი მხოლოდ ონლაინ რეჟიმშია.

• ტელეარხებმა და მათმა ხელმძღვანელობამ, პროდიუსერებმა, რეპორტიორებმა და მედიის მუშაკებმა მიზნად უნდა დაისახონ თავიანთი აუდიტორიისთვის მიმდინარე მოვლენების სამართლიანი, პროფესიონალური და მიუკერძოებელი გაშუქება არჩევნების წინა პერიოდში და თვითრეგულირების მექანიზმების, მაგალითად, ეთიკის კოდექსისა და მაუწყებელთა ქცევის ნორმების შესაბამისად მოქმედება.

• ტელეარხებმა უნდა იფიქრონ თავიანთ ვებგვერდებზე ფინანსური მონაცემების გამოქვეყნებაზე, რაშიც თავიანთ წვლილს მფლობელებიც შეიტანენ. თუ ფინანსური შესაძლებლობა ექნებათ, თავიანთი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის მოიწვიონ დამოუკიდებელი აუდიტორი. მედიასაშუალებებმა ფინანსური გამჭვირვალობა უნდა გამოიყენონ აუდიტორიასთან და დაინტერესებულ მხარეებთან ნდობის მოსაპოვებლად.

• საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა გაატაროს ღონისძიებები, რათა გაამყაროს თავისი იმიჯი და იგი აღიქვან, როგორც ჭეშმარიტად პოლიტიკურად დამოუკიდებელი საინფორმაციო ორგანიზაცია, რომელიც ქართველ ხალხს ემსახურება და არა მთავრობას. ამისათვის მაუწყებელმა უნდა დაუთმოს ადგილი საგამოძიებო რეპორტაჟებს. ასევე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა აჩვენოს, რომ ზრუნავს მომხმარებლის ინტერესებზე, რომლებიც დაზარალდნენ კერძო სექტორთან ურთიერთობისას. გარდა ამისა, მაუწყებელმა უნდა გადადგას რეალისტური ნაბიჯები ტექნიკური წვდომის გაზრდისკენ და ტექნიკური პლატფორმების ფართო სპექტრის საშუალებით რაც შეიძლება ბევრ ქართველამდე მივიდეს; ამავდროულად, იმუშაოს იმაზე, რომ აუდიტორიის წინაშე უფრო მეტად პასუხისმგებელი და ეფექტური გახდეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ „საქართველოს ტელემაუწყებლების ანალიზის“ წარდგენასთან ერთად შეხვედრაზე ახალი ვებ-გვერდის პრეზენტაციაც გააკეთა. Telekritika.ge-ზე ინტერნეტმომხმარებელს სხვადასხვა მედიასაშუალებებში გაშუქებული, მისთვის საინტერესო თემის ნახვა და შეფასება შეეძლება. საიტზე მოცემულ მასალებს ლინკიც ერთვის, რომელსაც მომხმარებელი Myvideo.ge-ზე გადაჰყავს, სადაც შესაბამისი სიუჟეტის ნახვას შეძლებს.

„როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია, ორივე ცდილობს, საკუთარი გავლენის ქვეშ ჰქონდეს რამდენიმე სატელევიზიო სადგური, ისევე, როგორც საკვანძო საშუამავლო კომპანიები, რომელთა მეშვეობით მაუწყებლები აუდიტორიას უკავშირდებიან,“ – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ახალ კვლევაში.

ეკა ირემაშვილი

# ნინო ზაუტაშვილი: ჩემგან სულ სიურპრიზებს უნდა ელოდეთ!“

გადაცემა „სამოთხის ვაშლებმა“ მორიგი სეზონი დახურა და ერთგულ მაყურებელს სექტემბრამდე დაემშვიდობა. ოთხწლიანი მოღვაწეობა მის შემოქმედებით გუნდს ქართველმა საზოგადოებამ „ოქროს ფრთის“ მინიჭებით დაუფასა. გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი ნინო ზაუტაშვილი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ჯილდო ჟურნალისტისთვის უდიდესი სტიმულია, რომ უფრო მეტი და მეტი აკეთოს და მაყურებელს ყველა იმ თემაზე ესაუბროს, რომელიც მისთვის საინტერესოა.

„სამოთხის ვაშლების“ ახალი სეზონის სიახლეებსა და სხვა საინტერესო თემებზე ნინო ზაუტაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ნინო ზაუტაშვილი:**

– ივლისის ბოლომდე ვიმუშავეთ ეთერში, ყოველდღიური ეთერი გვქონდა შაბათ-კვირის გარდა და იყო სხვადასხვა თემა, რომელიც გვინდოდა, მაყურებლისთვის საინტერესო ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ყველა თემა მაყურებელს ერთნაირად არ აინტერესებს, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ ხოლმე, დავაინტერესოთ და თითქმის ყველა სპექტრი მოვიცვათ.

***– რა იქნება მომავალ სეზონზე?***

– მომავალი სეზონიდან იქნება სიახლეები ჩვენთან ეთერში, მაგრამ დავტოვებთ სიურპრიზად, რომ მაყურებელისთვისაც იყო საინტერესო და ინტერესით დაგველოდონ. ალბათ, სექტემბრის შუა რიცხვებიდან უკვე ეთერში ვიქნებით. ვინაიდან ჩვენ უკვე ოთხი წელია ეთერში ვართ, მაინდამაინც დიდი აქტიური წინამოსამზადებელი ეტაპები არ გვჭირდება ხოლმე, ამიტომ კარგ დასვენებას მოვასწრებთ. პროდიუსერსა და წამყვანებს უკვე მენტალურ დონეზე გვესმის ერთმანეთის. ცვლილებები იქნება დეკორაციებშიც, მაგრამ, ალბათ, სამი-ოთხი სარეპეტიციო ეთერი გვეყოფა.

***– წელს „ოქროს ფრთა“ მიიღეთ. ეს რას ნიშნავს თქვენთვის?***

– ეს ჩვენთვის დიდი პატივია. ჩვენნაირი ოთხი ადამიანი, განსხვავებული თავისი ტემპერამენტით, მონაცემებით, ტემპორიტმით, არსად არის. კარგი არჩევანი გაკეთდა, რომ ასეთი წამყვანები შეგვარჩიეს. ჩვენ რადიკალურად განსხვავებული ტიპაჟები ვართ, ყველანაირ აზრს გაიგებს ადამიანი ჩვენი გადაცემიდან, ამიტომ ზოგი მე დამეთანხმება, ზოგი – ნანას, ზოგი – ნინოს, ზოგი – სალომეს. თუმცა პირველ სეზონზეც არაჩვეულებრივი გადაცემები იყო, როცა ჩვენ გვერდით იყო რუსო მანჯგალაძე, რომელიც მართლა დააკლდა ჩვენს გუნდს. ყოველთვის გული მწყდება, რომ ის ჩვენ გვერდით აღარ არის, მაგრამ, იმედს ვიტოვებ, რომ ისევ იქნება ჩვენ გვერდით. სიამოვნებით მივიღებდით უკან, იმიტომ რომ საოცარი ადამიანია. მიხარია, რომ ოთხი ადამიანი ამდენი ხანია ერთად მოვდივართ და ეს „ოქროს ფრთაც“ გუნდური მუშაობისთვის გადმოგვეცა. ჩვენ შევძელით, რომ ამდენი წლის მანძალზე ღირსეულად გვეტარებინა ამ გადაცემის დონე. ეს ერთგვარი სტიმულია, რომ უფრო და უფრო მეტი აკეთო. ამ გადაცემის წამყვანები იმით გამოირჩევიან, რომ მუდმივი ძიების პროცესში არიან და ზოგადადაც ასეა – როცა ადამიანი ასრულებს ძიების პროცესს, ის ასრულებს ყველაფერს, მით უმეტეს, ჩვენი პროფესიის ადამიანები, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. ჩვენ სულ უნდა ვეძებოთ საინტერესო თემები და მოვიპოვოთ სიახლე.

***– დარჩა თემა, რომელზეც „სამოთხის ვაშლებში“ არ გისაუბრიათ?***

– მშვენივრად ვიცით, რაც იქნება მომგებიანი, უბრალოდ, არ ეხებიან სოციალურ და მწვავე თემებს, რომელსაც მე სიამოვნებით შევეხებოდი.

***– რა თემებს, ჩვენთან სკანდალებს რომ ეძახიან?***

– ჩვენთან სკანდალებს რასაც ეძახიან, ეგ სულაც არ არის სოციალური და მწვავე თემები და არც მაინტერესებს. ჭეშმარიტად სოციალური და მწვავე საკითხები სულ სხვაა. მიმაჩნია, რომ ყველაფერზე უნდა ილაპარაკონ ადამიანებმა, რასაც ფიქრობენ. ასეთ შემთხვევაში გაცილებით ნაკლები პრობლემა გროვდება საზოგადოებაში. XXI საუკუნეა და ყველამ ყველაფერი უნდა თქვას, თუკი სხვა მოსაზრება გაქვს, აზრების გაცვლა უნდა მოხდეს ცივილიზებული ფორმით და არა ერთმანეთისთვის თმაში წვდომით და ისტერიკებით. როგორ არ უნდა მივიდეს ქართველი ადამიანი იმ ეტაპამდე, რომ ვიღაცას მოსწონს ლურჯი და ვიღაცას – მწვანე, ამას შეეგუოს და ამისთვის არ უნდა დავხოცოთ ერთმანეთი. სანამ ჩვენ გვექნება ის შეგნება, რომ ვიღაცამ ან ხელისუფლება გამოგვიცვალოს, ან უკეთესი ცხოვრება დაგვიყენოს, მანამდე ჩვენი პრობლემა ყოველთვის იქნება აქტუალური. ყველა ადამიანმა საკუთარი არჩევანი ღიად უნდა გამოხატოს და ჰქონდეს ამისი თავი, არავის უნდა უყურო ხელებში და ყველაფერი თვითონ უნდა გააკეთო, რასაც სხვისგან ელი.

***– ხომ არის საკითხები, რასაც XXI საუკუნეშიც ვერ შეეგუება ქართველობა?***

– ასეთი საკითხები არ არსებობს. რაც მომხდარა სხვაგან, ის მოხდება ჩვენთანაც. არ არსებობს რაიმე თემა, რაც იქნება მსოფლიოში და აქ არ მოხდება.

***– სექსუალური უმცირესობების გააქტიურებასაც შეეგუება ქართველობა?***

– არა მგონია, რომ ეს საკითხი ასე აქტუალურად იდგეს. ვინმეს აქვს პრობლემა, საქართველოში იყოს ისეთი, როგორიც უნდა რომ იყოს? როცა პიარისთვის ხდება რამე და მისი საჭიროება საერთოდ არ არის, ეს ცოტა ყურით მოთრეული მგონია. ჩემს წრეში ეს პრობლემა არ დგას და ასევე არ დგას ეს პრობლემა ნორმალურ საზოგადოებაში. ადამიანები, ვინც სხვისი ორიენტაციით ღიზიანდება, ყველგან არიან. დამიჯერეთ, არანაირი საფრთხე არ გვემუქრება. თუკი მინდა, მიყვარდეს ქალი, ამაში წინააღმდეგობას ვერავინ გამიწევს, მაგრამ არც იმას ვიზამ, რომ გამოვიდე რუსთაველზე, დავიჭირო დიდი ტრანსპარანტი, რომ მე მინდა მიყვარდეს ქალი. ამაზე ჩემი პასუხია – გიყვარდეს! თუ ჩვენ ვითხოვთ ლმობიერებას ჩვენი ორიენტაციის მიმართ, გავანებოთ იმ ადამიანებსაც თავი, ვინც არ არიან ლმობიერები. საერთოდ, დემოკრატიული ადამიანი ვარ და არ ვერევი არავის ცხოვრებაში. ვისაც ვინ გაუხარდება ის უყვარდეს და მეც მომცენ უფლება, ის მიყვარდეს, ვინც მინდა, რომ მიყვარდეს.

***– ნინო, თეატრში მხოლოდ ისევ სპექტაკლ „ქალებში“ ხართ დაკავებული?***

– არის შემოთავაზებები, მაგრამ ჯერ მხოლოდ „ქალებში“ ვარ. ბაღდათში ვიყავით ამ სპექტაკლით და ძალიან კარგი დრო ვატარეთ. მანამდე ბათუმშიც ვიყავით, ხულოშიც ჩავედით, ამ თეატრს იუბილე მივულოცეთ. ისეთი საინტერესო რამ მოხდა, მარჯანიშვილის თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „ქალები“ და რუსთაველის თეატრმა – „12 გარისხებული მამაკაცი“. მიყვარს საქართველოს რეგიონებში მოგზაურობა, საოცარი ქვეყანა გვაქვს, თან ქალაქში სხვა ცხოვრების ტემპი და რეჟიმია, ბევრი რამ ხდება თბილისში, თუნდაც კულტურული თვალსაზრისით, სასაცილოა, თბილისზე ვილაპარაკოთ, როგორც შოუბიზნესის მეგაპოლისზე, მაგრამ, რეგიონებთან შედარებით, მართლა ბევრი კონცერტი და პრემიერაა, ამიტომ მინდა, ყოველთვის შენარჩუნდეს ის ტრადიცია, რომ ჩავიდეთ რეგიონებში და რეგიონის თეატრებიც ჩამოვიდნენ თბილისში. დიდი მადლობა ციცინო კობიაშვილს, რომ ამ სპექტკლში დამაკავა, ბევრი რამ დამაკლდებოდა, მის გარეთ რომ დავრჩენილიყავი. ამ სპექტაკლში მონაწილეობის შემდეგ დამაკავეს პროექტში „მაესტრო“, რომელიც ჩემთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რამ იყო, რამაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემი პიროვნების განვითარებაში.

***– თქვენი ოქროს ჯოხი ისევ საპატიო ადგილზეა?***

– რა თქმა უნდა. ის ოქროს ჯოხი ჩამყვება იქ, სადაც ჯერ არს.

***– როგორც „მაესტრო“, როდის უნდა გიხილოთ?***

– ვიცი, რომ პროექტი ოქტომბრიდან განახლდება სულ სხვა შემადგენლობით. რაღაც ფუნქციით ამ პროექტში რომ ვიქნები, ვიცი, მაგრამ წინასწარ არ მინდა თქმა. მე და „მაესტრო“ არის ორი განუყოფელი რამ, ჩვენ ვერაფერი დაგვაშორებს, ეს ჩემი ცხოვრების სიყვარულია. ჩემს ცხოვრებაში ძალიან ცოტაა ისეთი რამ, რასაც ამხელა სიხარული მოუტანია ჩემთვის, ერთ-ერთი კი ნამდვილად „მაესტროა“. არა მხოლოდ გამარჯვების გამო, არ ვარ გადარეული მოგებებზე, არ მაინტერესებს, თვითონ პროცესმა ისეთ განზომილებებში გადამიყვანა და ისეთ სამყაროში ვიმოგზაურე, თავი მეგონა ალისა საოცრებათა ქვეყნიდან.

***– თქვენგან სიურპრიზებსაც უნდა ველოდოთ?***

– აუცილებლად, მე თვითონ ველოდები ჩემი თავისგან სიურპრიზებს. მე უკვე აბსოლუტურად სხვანაირად ვუსმენ კლასიკურ მუსიკას, მარტო ამად ღირდა, რომ მონაწილეობა მიმეღო ამ პროექტში, თან უახლოესი მეგობრები გამიჩნდნენ ბეთჰოვენის, ბიზესა და როსინის სახით.

***– მანამდე არ მეგობრობდით?***

– ასე ახლოს არ ვიყავით, ახლა ვართ გადაბმული ძმაკაცები. ისე გვესმის ერთმანეთის, საოცრად. ჩვენ „სამოთხის ვაშლების“ არაერთი გადაცემა მივუძღვენით კლასიკურ მუსიკას. ვაშლებში რომ იყო, ამდენი გადაცემა კლასიკურ ნაწარმოებებზე და მის კომპოზიტორებზე არავის მიუძღვნია არც ერთ გადაცემაში დედამიწის ზურგზე. ჩემი მანიაკალური აღტყინებით კლასიკური მუსიკის მიმართ ამ საკითხს ხშირად განვიხილავთ ხოლმე გადაცემაში. ჩვენი პროდიუსერი გოგა ჩართოლანიც გიჟდება კლასიკურ მუსიკაზე, ჩემი არც ერთი ტური არ გამოუტოვებია და ათასჯერ ვეტყვი მადლობას. მაშინ ჩემთვის ძალიან დიდი რამ იყო მეგობრების გვერდში დგომა და მზად ვარ, მათ სამაგიერო გადავუხადო.

***– სხვანაირად როგორ უსმენთ მუსიკას?***

– შეიძლება, ძნელი ასახსნელი იყოს, მაგრამ აბსოლუტურად სხვა ემოციებში ვარ. ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვუსმენდი კარგ მუსიკას, მაგრამ რაც ახლა მემართება ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის მოსმენისას, ეს არის სრულიად სხვა აღქმა, ამ ადამიანის აბსოლუტურად ყველა ქვეტექსტი და მესიჯი მესმის, რაც იყო ჩადებული ამ ნაწარმოების ჩაწერის დროს, რას გრძნობდა, რას



განიცდიდა, რაზე ოცნებობდა, რაზე ჩხუბობდა, ყველაფერი გასაგებია ჩემთვის. ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა და მართლა არ ვიცი, რას დავაბრალო, რომ უცბად ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული და ამ პროექტში ჩამრთეს. ეს განგების საჩუქარი იყო. ულრმესი მადლობა ვატო კახიძეს, რომ მოიფიქრა, ამ პროექტში ნინო ზაუტაშვილი ჩავრთოთო. ყველას ათასგზის დიდი მადლობა. ვიცი, რომ ბევრი მონაწილის სია ჰქონდათ ორგანიზატორებს და, მათ შორის რომ მოვხვდი, ეს უკვე ჩემთვის დიდი პატივია. კიდევ ერთხელ ვამბობ, არ იყო ჩემი იდეაფიქსი პროექტის მოგება, მაგრამ თავისთავად ეს ამბავი ძალიან სასიამოვნოა. ეს არის რწმენა, რომ თურმე რაღაც კიდევ შემიძლია, ახლა სულ ვხუმრობ, ფიგურულ სრიალში მაქვს იგივე წარმატება გასამეორებელი-მეთქი. ჩემი მეგობრებიც სულ მეკითხებიან, აბა, ახლა კიდევ რას აპირებო. თუ დამცალდა, ყველაფერსაც ვაპირებ, რატომაც არა.

***– გაგიჭირდათ ამ პროექტში მონაწილეობა?***

– არა, ერთი წამითაც არ მიფიქრია. როგორც კი მითხრეს, ასეთი პროექტიაო, ეგრევე ვთქვი, მინდა, მინდა-მეთქი. ძალიან შრომისმოყვარე ადამიანი ვარ, დღეში 4 საათი ვვარჯიშობდი, ეს იყო ტიტანური შრომა, არავინ იფიქროს, რომ ეს იოლად მოხდა, ამისთვის დიდი მადლობა ბატონ თამაზ ჯაფარიძესა და ქალბატონ მარინა ჭარიშვილს, მათ გარეშე ეს შედეგი არ მექნებოდა. სწავლა სიბერემდეო, რომ ამბობენ, ნამდვილად მართალია და თან ვინ გასწავლის, ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა? რომ ეცალოთ ბატონ თამაზსა და ქალბატონ მარინას, არ დავიზარებდი და დღეში ორ საათს ვიმუშავებდი, ისე, ჩემთვის, თორემ არაფერს ვაპირებ.

***– სცენაზე გამოსვლას არ აპირებთ?***

– რა თქმა უნდა, არა. ამ ასაკში ყველაფრის დაწყება ძალიან რთულია. ყველა დიდი დირიჟორი მთელი ცხოვრება სწავლობდა და მერე დირიჟორობდა, მე კი, სამწუხაროდ, დრო არ მეყოფა, რომ ასე საფუძვლიანად შევისწავლო ეს პროფესია. დღეს 20 წლის რომ ვიყო, არც დავფიქრდებოდი, ისე გავყვებოდი ამ არაჩვეულებრივ პროფესიას.

***– მერე, ტელევიზია?***

– ტელევიზიაში მილიონი ხალხია და პრობლემა არ იქნებოდა. სიგიჟემდე მიყვარს ტელევიზია, მაგრამ აბსოლუტურად სხვა განზომილებაა კლასიკური მუსიკა და დირიჟორობა. იქ სულ სხვა შეგრძნებებია.

***– ნაწარმოების დაწერასაც ხომ არ შეეცდებოდით?***

– არ არსებობს. ამის არანაირი მონაცემი არ გამაჩნია. კარგი შემფასებელი ვარ, თორემ, რამე რომ დავწერო, გამორიცხულია, ასეთი თავხედი არ ვარ. ეგ რომ შემოეთავაზებინათ, ნამდვილად დავფიქრდებოდი და უარს ვიტყოდი. დირიჟორობაში ბევრი კომპონენტია, ბევრ რამეს ვხედავდი ჩემს თავში და იმიტომ გავრისკე.

***– ის საკმარისია, რომ გიყვარდეთ კლასიკური მუსიკა?***

– ამ პროექტში მონაწილეობისთვის უნდა იყო მზად, რომ გადადო ყველაფერი და იშრომო ტიტანურად იმისთვის, რომ მიაღწიო რაღაც შედეგებს. უნდა იყო მზად, რომ იჭიდავო და უნდა მიიღო ის, რაც თავიდან არ გეძლევა. ძალიან რთული პროცესია, აქ არის ჩართული მეხსირება, ცოტა მიბაძვის ნიჭი, მართვის უნარი, ლირიზმი, ირონია, თავმდაბლობა, საოცრად ბევრი რამეა გაერთიანებული ამ პროფესიაში.

***– თუმცა, დილეტანტებს მიაჩნიათ, რომ ორკესტრი მაესტროს საერთოდ არ უყურებს.***

– პირველ ტურზე მეც ასე მეგონა. ჩემს მაესტროს ვკითხე, საერთოდ არ მიყურებდნენ, ყველა თავის ნოტში იხედებოდა და რატომ-მეთქი, მან კი მითხრა, ეს შენ გგონია, რომ საერთოდ არ გიყურებდნენ, თორემ სინამდვილეში ისინი ყველაფერს გრძნობენო. ამ შვიდი ტურის გავლის შემდეგ, შემიძლია გითხრათ, რომ აბსოლუტურად ყველაფერი დამოკიდებულია ორკესტრზე, უნდა, გამოგყვება, უნდა, არ გამოგყვება, უნდა, გაგიფუჭებს, უნდა, ისე აჟღერდება, რომ აგიყვანს მეცხრე ცაზე. მცდარი შეხედულებაა, რომ ორკესტრს თითქოს მთლიანად მართავს დირიჟორი. ორკესტრისა და დირიჟორის ურთიერთობა საოცარი მოგზაურობაა, მოგზაურობაში კი, მოგეხსენებათ, ყველა ერთნაირად კარგი არ არის.

***– როცა გეშინიათ, იმასაც გრძნობს ორკესტრი?***

– აუცილებლად, თუ უყვარხარ, გამხნევებს და, თუ დაგცინის, ეგ სულ სხვა დამოკიდებულებაა, თუ არ გემორჩილება ან პირიქით, სულ სხვა დამოკიდებულებაა. რაც მთავარია, ვიგრძენი მათი კეთილგანწყობა ჩემდამი, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვეუბნები. ჩემი მხრიდან რასაც ისინი, ალბათ, გრძნობდნენ, ეს იყო დიდი პატივისცემა მათ მიმართ. ვერავის მოვატყუებ, რომ ორ თვეში ყველა საკუთარი და-ძმასავით შემიყვარდა, მაგრამ პატივს ყველას ვცემდი. წარმოიდგინეთ, რვა არაპროფესიონალი მოდის, წვალობს, ჯახირობს, ორკესტრმა კი უნდა დაუკრას და ფეხი აუწყოს. მათ იცოდნენ, რომ სიამოვნებით ჩავიცვი დირიჟორის ტანსაცმელი და სიამოვნებითვე გავიხადე. იმასაც უნდა მიეჩვიო ადამიანი, რომ შენ ხარ უცხო ადამიანი, რომელიც პროექტში შეხვედი, მაგრამ დროზე შესვლაც უნდა იცოდე და დროზე გამოსვლაც. მთავრდება პროექტი, მაგრამ არ მთავრდება მუსიკის სიყვარული და ეს რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე.

***– ახლა უფრო ხშირად უსმენთ კლასიკურ მუსიკას?***

– გაცილებით ხშირად ვუსმენ, ვიდრე მანამდე ვუსმენდი, თან ამ პროცესში ჩავრთე ჩემი შვილიშვილები. ჩემს შვილებსაც უყვართ კლასიკური მუსიკა, უფროს ვაჟს – განსაკუთრებით. უფროსი შვილიშვილი, ნუცა, წავიყვანე ფორტეპიანოზე, ჩააბარა ნიჭიერთა ათწლედში გამოცდები, პატარა რევაზი, ძალიან მინდა, რომ გახდეს დირიჟორი, უფროსი ვაჟი მეწინააღმდეგება, მას უნდა, რომ ის გახდეს კალათბურთელი და ვნახოთ, თვითონ რა პროფესიას აირჩევს. წლინახევრისაა ჩემი ნიკოლოზ თავართქილაძე და, უნდა ნახოთ, როგორ აქნევს ხელებს და როგორი ეშხით უსმენს ბეთჰოვენის „მეხუთე სიმფონიას“. ძალიან ვაკონტროლებ, რას უსმენენ ბავშვები. ყველა ტურს ესწრებოდნენ ჩემი შვილიშვილები. ეს ძალიან დიდი სამყაროა, რომელსაც უნდა ეზიაროს ყველა პატარა. „მაესტროს“ დროს სავსე იყო დარბაზი ბავშვებით. ნინო კურატაშვილის მარიამს ტური არ გამოუტოვებია, განაბული უსმენდა. ძალიან ბევრი ბავშვი მოდიოდა და მარტო ამისთვის ღირდა „მაესტროს“ დაწყება. ტელევიზიებმა აუცილებლად უნდა შეუწყონ ხელი კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას. თუ მთელი ცხოვრება ჩვენ მარტო იმას შევხედავთ, ვის უფრო კარგად შეუძლია, დანა გაიყაროს მუცელში, არაფერი გვეშველება. ძალიან კარგია ხატვა, მაგრამ მაშინ თუნდაც იმ „ნიჭიერშიც“ ისე უნდა მოხდეს ყველაფერი, რომ შეიძლებოდეს კარგისა და უკეთესის შედარება. წელს „ნიჭიერს“ საერთოდ აღარ ვუყურე, იმიტომ კი არა, რომ ამ პროექტთან მაქვს რამე პრეტენზია, ეს პროექტი ადაპტირებულია მსოფლიოს ქვეყნებში და XXI საუკუნის პროექტია, მაგრამ ჩვენი პრობლემა იმაშია, რომ ამ პროექტებს განვითარება აღარ აქვთ. მოიგო ადამიანმა და რა მერე?

***– ამ განვითარებაში მოხვდა გადაცემა „ხანუმებიც“? თქვენ ხომ წლების წინ ზუსტად ასეთი შინაარსის გადაცემა მიგყავდათ იმავე არხზე?***

– ამ გადაცემაზე, მაპატიეთ, საერთოდ არ გავაკეთებ კომენტარს. ასეთი გადაცემებით ვერ განვვითარდებით, რადგან ეს არ არის ადამიანების განვითარებისთვის შექმნილი პროექტი. საერთოდ გამოვთიშე ტელევიზორი და არაფერს აღარ ვუყურებ.

***– აბა, ინფორმაციას საიდან იღებთ?***

– „ფეისბუქიდან“ და ინტერნეტიდან. არც ერთ არხს არ ვუყურებ, არაფერი აღარ მაინტერესებს. საზოგადოებრივ მაუწყებელზე ნახავთ გადაცემებს, რომლებიც საინტერესოა, თუნდაც ლაშა ბუღაძის, გია ბუღაძის, გოგი გვახარიას გადაცემები. პირველ არხს ვუყურებ, რადგან მშობლიური არხია და ვალდებული ვარ, ვიცოდე, რა ხდება ჩემს არხზე. დანარჩენ არხებს ვუხდი ძალიან დიდ ბოდიშს, მაგრამ არ ვუყურებ.

***– „სამოთხის ვაშლებს“ უყურებთ?***

– თუ რამე მოხდა ისეთი, რაშიც ეჭვი შემეპარა, მაშინ ვუყურებ და ვამოწმებ, თორემ ისე, რომ ვზივარ და ვტკბები ჩემი თავით, საერთოდ არ ვარ ეგეთი ტიპი. სარკეშიც კი არ ვიყურები. მაკიაჟს რომ მიკეთებენ, მაშინ ვიხედები სარკეში. ზუსტად იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელსაც ამისთვის დრო არ აქვს და, სიმართლე რომ გითხრათ, სარკეში ყურებისთვის დროის დაკარგვა მენანება კიდეც.

# გია გრიგალავა: მე ქართველი ვარ და სამშობლოს სახელით თამაში საამაყოა“

მთელ ქართულ ინტერნეტ-სივრცეში გია გრიგალავა ლამის ერის მოღალატედ შერაცხეს, როდესაც რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშა. თუმცა ახლა უკვე ნათლად ჩანს, თუ რატომ გადადგა ქართველმა ფეხბურთელმა ეს ნაბიჯი.

გრიგალავასთან ინტერვიუ რუსულ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა.

***— ბევრი გამოცემა წერს, რომ ქუთაისური საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ხართ, თუმცა თავად ინტერვიუებში ამბობთ, რომ ფეხბურთზე სიარული როსტოვში დაიწყეთ. სიმართლე რომელია?***

— ქუთაისში დავიბადე, მაგრამ საქართველოში ოფიციალურად არსად მითამაშია, მხოლოდ ეზოში ვაგორებდი ბურთს. საფეხბურთო სექციაში როსტოვში მივედი, სადაც ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა. ამიტომაც სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ როსტოვის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ვარ.

***— შემდეგ თქვენი მშობლები საქართველოში დაბრუნდნენ. რატომ არ წაჰყევით? ქუთაისიც ხომ საფეხბურთო ქალაქია.***

— მეტსაც ვიტყოდი, ძალიან საფეხბურთო... თუმცა, როსტოვში ყველაფერი მაკმაყოფილებდა და იმიტომაც არ წავყევი მშობლებს. იქ რომ საქმე ცუდად წასულიყო, რა თქმა უნდა, ისევ ოჯახს წავყვებოდი. ამასთან, მარტო არ დავრჩენილვარ — როსტოვში ნათესავები და ბევრი ნაცნობი მყავდა.

***— თქვენს ახლანდელ გუნდ „ვოლგაში“ ბევრი ქართველი თამაშობდა, თანაც გუნდს ომარ თეთრაძე წვრთნიდა. „მოსკვადან“ „ვოლგაში“ რომ მოდიოდით, ამ ფაქტორმა ითამაშა როლი?***

— სიმართლე გითხრათ, „ვოლგას“ განსაკუთრებულად არ ვაქცევდი ყურადღებას, თუმცა ვიცოდი, რომ ბევრი ქართველი თამაშობდა. საქართველოს ჩემპიონატში არ მითამაშია და, ამდენად, „ვოლგას“'ქართველებს არ ვიცნობდი, გარდა გოჩა ხოჯავასი, რომელიც „როსტოვში“ გახლდათ. ბუნებრივია, როცა გუნდში შენი თანამემამულეები არიან, ეს პლუსია. თუმცა, მთავარი ისაა, რომ ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს შენი სჯეროდეთ. თეთრაძესთან მუშაობა სასიამოვნო იყო. ისე გამოვიდა, რომ სწორედ თეთრაძე გახდა ჩემი პირველი ქართველი მწვრთნელი.

***— როდესაც მწვრთნელი შეცვალეს და ქართველი ფეხბურთელებიც წავიდნენ, არ გიფიქრიათ, რომ თქვენც მოგიწევდათ ახალი კლუბის ძებნა?***

— არ დავმალავ, ამაზე ვფიქრობდი. მართლაც, „ვოლგადან“ წასულების უმეტესობა ქართველი იყო. თანაც, ახალი მწვრთნელის მოსვლას რისკიც ახლავს. ჩემთვის ყველაფერი ნორმალურად



აეწყო და დავრჩი. დმიტრი ჩერიშევი მენდობოდა, მათამაშებდა, ალბათ, არც მე ვუმტყუნე. „ვოლგას“'ყოფილ ქართველებთან ურთიერთობას ვაგრძელებ, ვხვდებით კიდეც ერთმანეთს. მათ ასევე კარგად აქვთ საქმე, სიძნელეები უკან დარჩა.

***— საიდუმლო გაგვიმხილეთ — რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები ფეხბურთელი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რატომ აღმოჩნდით?***

— ნაკრებში თამაში ყოველთვის მსურდა, უბრალოდ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიდან არ მიწვევდნენ. პირველი მოწვევა რუსეთის ახალგაზრდულიდან მომივიდა და არ ვიუარე, რადგან ვიცოდი, რომ ამით საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კარი არ მეკეტებოდა. როდესაც საქართველოდან დამირეკეს, საყოყმანო აღარაფერი იყო. რა თქმა უნდა, რუსეთის ნაკრები უფრო მაღალი დონისაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეროვნული სიამაყეა მთავარი — მე ქართველი ვარ და საამაყოა სამშობლოს სახელით თამაში. იქ, სადაც მხოლოდ არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის ვთამაშობ. სადაც დავიბადე, სადაც ჩემი მშობლები და ახლობლები ცხოვრობენ. გამიხარდა, რომ მათ საქართველოს ნაკრების მაისურით მიხილეს თბილისში, თუმცა სადებიუტო მატჩი ხორვატიაში მქონდა.

***— იმედი გაქვთ, რომ ამჟამადაც გამოგიძახებენ (ინტერვიუ ჩაწერილია, სანამ გრიგალავას 16 აგვისტოს „ლუქსემბურგთან“ მატჩისთვის გამოიძახებდნენ)?***

— სურვილი მაქვს. თუმცა, ნაკრებში მუდმივად გამოძახება გარანტირებული არაა. მაგალითად, ითამაშე ნაკრებში? ახლა გუნდში გამოსვლის დროა. მაშინაც კი, როცა ნაკრებში კარგად თამაშობ, ხოლო კლუბში არ გამოგდის, ავტომატურად აზრი აღარ აქვს ნაკრებში მორიგ გამოძახებას. ნაკრები ხომ პოზიციების მიხედვით დგება, მე კი, მაგალითად, თავდასხმაში ვერ ვითამაშებ.

***— სამაგიეროდ, დაცვაში უნივერსალურად გვეჩვენებით.***

— მართლაც, ჩემთვის აზრი არ აქვს, მარცხენა ცენტრალურ მცველად ვითამაშებ თუ მარცხენა განაპირა მცველად. აი, მარჯვნივ კი რთულია. აპრილში „ტომთან“ მარჯვენა მცველად დამაყენეს და განსხვავება ვიგრძენი. თუმცა, მატჩი წარმატებული გამოდგა, რადგან მოვიგეთ.

***— ამბობენ, რომ „ვოლგაში“ არდადეგების გამოცხადებისთანავე საქართველოში მიფრინავთ.***

— როცა ერთი-ორი დღეა, არა, თუ დიდი ხნითაა დასვენება, თბილისში მივდივარ. იქ ცხოვრობენ დედ-მამა და ძმა. ისე გამოვიდა, რომ ქუთაისში, სადაც დავიბადე, ფაქტობრივად, არ მიცხოვრია. ჩემმა ბავშვობამ მარტვილში გაიარა. არის ასეთი ქალაქი ქუთაისიდან არცთუ შორს. როცა საქართველოში ვარ, მარტვილში აუცილებლად მივდივარ, რადგან ჩვენი გვარის ფესვები იქიდანაა, იქ ცხოვრობენ ბებიები, ბაბუები.

***— რუსულად მშვენივრად საუბრობთ. შეგვიძლია გავიგოთ, რა ენაზე აზროვნებთ?***

— ოჰო, ასეთი კითხვა არავის დაუსვამს. ქართულისა და რუსულის გარდა, მეგრულიც ვიცი. ასე რომ, სიტუაციის შესაბამისად, ამ სამიდან ნებისმიერზე შემიძლია ვიფიქრო. თუმცა, მაინც ქართულისკენ ვიხრები. მშობლები მეგრულად ხშირად საუბრობენ, მაგრამ — ჩემთან არა. სახლში ქართულად საუბარი სასიამოვნოა. ისე, თბილისში ბევრმა იცის მეგრული და ურთიერთობის პრობლემა არაა. აი, ნიჟნი ნოვგოროდში ქართულად საუბარი თუ მომინდება, შოთა ბიბილოვთან შემიძლია. ბიბილოვი ოსია, მაგრამ საქართველოში ნათესავები ჰყავს, ქართული ენა კარგად იცის და ხანდახან ვსაუბრობთ კიდეც. აი, ინგლისურსაც თუ ვისწავლი, მშვენიერი იქნება, თუმცა ამ მხრივ სირთულეა. პრაქტიკა უნდა გქონდეს, მხოლოდ თეორიით კარგად ვერ ისწავლი.

***— შარშან „ვოლგაში“ ესპანელი კროსასი თამაშობდა და ინგლისური იცოდა. ამან ვერ იმოქმედა?***

— მაინცდამაინც ვერა. თავიდან უფრო ჟესტებით ვურთიერთობდით. მახსოვს, კროსასს ვურეკავდი, რათა რაღაც ინფორმაცია გამეგო, მაგრამ საუბრისას ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. ვდუმდით და ვფიქრობდით, რა ენაზე გვესაუბრა. მას რუსულად არ შეუძლია გამაგებინოს, მე კი — ინგლისურად ვერ ვეუბნები. ბოლოს ვთქვი — კარგი, შემდეგ აგიხსნი. მარკმა უფრო აითვისა რუსული, ვიდრე მე ინგლისური. მართალია, ის რუსულად ვერ საუბრობდა, მაგრამ ბევრი რამ ესმოდა.

# საქართველო საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია

**საქართველო — უკრაინა 95:69**
(31:12, 21:19, 23:18, 20:20)

საქართველო: პულენი (17ქ), მარკოიშვილი (14ქ), სანიკიძე (2ქ), შენგელია (23ქ), ფაჩულია (12ქ), ბოისა (6ქ), ცინცაძე (5ქ), ფაცაცია (3ქ), მეტრეველი (4ქ), ლეჟავა, ბექაური

უკრაინა: დროზდოვი (7ქ), კორტიენკო (5ქ), კრავცოვი (10ქ), ბურტი (2ქ), ზაბირჩენკო (2ქ), გლადირი (5ქ), კოლჩენკო, ლიპოვი (4ქ), ნატიანკო (14ქ), არტამონოვი (5ქ), გლებოვი, პუსტაზვონოვი (10ქ), ტიმოფენკო (5ქ), ზაიცევი

საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. ბოლო მატჩში იგორ კოკოშკოვის გუნდმა 95:69 დაამარცხა უკრაინა და ტურნირი წაუგებლად დაასრულა. მატჩის ბომბარდირი 23 ქულით თორნიკე შენგელია გახდა, რომელიც 23 ნომრიანი მაისურით თამაშობს და ამ ტურნირზე უკვე მეორედ ჩააგდო 23 ქულა. ბრწყინვალედ ითამაშა ნატურალიზებულმა ამერიკელმა ჯეიკობ პულენმა, რომელიც შენგელიას შემდეგ 17 ქულით მეორე ბომბარდირი გახდა. 14 ქულა ჰქონდა მანუჩარ მარკოიშვილს, ხოლო ზაზა ფაჩულიამ შეხვედრა 12 ქულით დაასრულა.

შეხვედრა თანაბრად დაიწყო, საქართველოს თავიდან მცირე უპირატესობა ჰქონდა. ფაჩულიას, მარკოიშვილისა და შენგელიას ქულებით იგორ კოკოშკოვის გუნდი მეოთხე წუთისთვის 11:5 დაწინაურდა. მარკოიშვილის სამქულიანის შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა უკვე სოლიდური გახდა — 14:5. მეოთხედის ბოლომდე კოკოშკოვის გუნდმა კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა, რაც მწყობრი დაცვისა და მას მოყოლილი სწრაფი შეტევების შედეგი იყო. ცალკე აღნიშვნის ღირსია მანუჩარ მარკოიშვილის სიზუსტე, რომელმაც პირველ მეოთხედში 3 სამიანი ჩააგდო და ათწუთეულში 11 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია ასევე თორნიკე შენგელიას შედეგიანობა, რომელმაც პირველ მეოთხედში 10 ქულა მიითვალა და საქართველოს დიდი სხვაობით დაწინაურება მნიშვნელოვნად განაპირობა. 31:12 — ასე დამთავრდა პირველი მეოთხედი.

მეორე მეოთხედში საქართველომ ტემპი ოდნავ დააგდო და თამაშიც გათანაბრდა. იგორ კოკოშკოვმა თამაშში სათადარიგო კალათბურთელები ჩართო, რომლებმაც პრაქტიკა მიიღეს. კარგად გამოიყურებოდა ნატურალიზებული ამერიკელი ჯეიკობ პულენი, რომელმაც შთამბეჭდავი დრიბლინგით უკრაინელ მეურვეს თავგზა აუბნია და მაყურებლისგან აპლოდისმენტები დაიმსახურა. პულენმა პირველ მეოთხედში ჩაგდებულ 4 ქულას 6-ც მიამატა და პირველი ტაიმი 10 ქულით დაასრულა. პირველი ტაიმის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე საქართველოს ნაკრების ლიდერობამ პირველად მიაღწია 20 ქულას – 48:28. საბოლოოდ, დიდი შესვენებისთვის საქართველოს 21-ქულიანი უპირატესობა დაფიქსირდა — 52:31.

მესამე მეოთხედში საქართველოს ნაკრებმა უკრაინა საბოლოოდ გატეხა. ხუთ წუთში კოკოშკოვის გუნდის უპირატესობამ უკვე 30 ქულას მიაღწია. მატჩის ბედიც აქ გაირკვა. მატჩმა ინტერესი დაკარგა, თუმცა მწვრთნელებისთვის შეხვედრას ის მნიშვნელობა შერჩა, რომ მოთამაშეები გამოეცადათ და კომბინაციების სრულყოფა მოეხდინათ. ამ მხრივაც ნაყოფიერი იყო ეს მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის. ჯეიკობ პულენმა გამოზომილი პასებითა და ალეუპებით გამოაჩინა, რომ ნაკრებს კარგად შეეწყო. მართალია, ჯერ იდეალურად არ არის საქმე, თუმცა წინ კიდევ არის საკონტროლო მატჩი გერმანიასთან და 9 დღე მოსამზადებლად.

მატჩი საბოლოოდ 95:69 დასრულდა. საქართველოს ნაკრებმა სამი მატჩი, ჯამში, 62 ქულით მოიგო. ტურნირის ბომბარდირი თორნიკე შენგელია გახდა, რომელმაც 3 მატჩის ჯამში 66 ქულა დააგროვა.

***კოტე ტუღუში,*** საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი:

— ამხანაგური თამაშები ყოველთვის მნიშვნელოვანია. ამ დროს მწვრთნელები სხვადასხვა ტაქტიკურ მონაცემს ამუშავებენ ხოლმე. ეს ტურნირი ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ძლიერ დაგვეხმარა, რადგან 3 თამაში მოვიგეთ და თავდაჯერებულობა შეგვემატა. კიდევ დარჩენილი გვაქვს ერთი მატჩი გერმანიაში, რომელსაც 13 აგვისტოს ჩავატარებთ, რის შემდეგაც, 18 აგვისტოს, თბილისში რუმინეთის წინააღმდეგ ევრობასკეტ 2013-ის შესარჩევ ეტაპში ჩავებმებით.

მანუჩარ მარკოიშვილი, საქართველოს ნაკრების მოთამაშე:

— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტურნირი იყო. თამაშში არსებული პრობლემებიც შევამცირეთ — დაცვა გავაძლიერეთ. იმედია, პროგრესს გავაგრძელებთ და 18 აგვისტოსთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებით.

თორნიკე შენგელია, საქართველოს ნაკრების მოთამაშე:

— ამხანაგურ შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გუნდს შეთამაშებაში და ოფიციალური მატჩებისთვის მზადებაში ეხმარება. აქვე აღვნიშნავ, რომ შევთამაშდით და დიდი პროგრესი გვაქვს. რაც შემეხება მე, ყველა შეხვედრაში მაქსიმალურად დავიხარჯე.

***მაიკლ ფრატელო,*** უკრაინის ნაკრების მწვრთნელი:

— ქართველებს ძლიერი ნაკრები გყავთ და გამარჯვებას გილოცავთ. გუშინდელი და დღევანდელი მატჩები ძალიან ცუდად ჩავატარეთ და დიდად უკმაყოფილო ვარ. პირველ მეოთხედში საქართველოსთან 31 ქულა გავუშვით, რაც ძალიან ბევრია. თქვენმა ნაკრებმა თამაშის დასაწყისშივე გაგვტეხა. მოწვევისთვის მადლობას გიხდით. იმედია, მომავალში უფრო მეტად მომზადებულნი ჩამოვალთ.

***დმიტრი ზაბირჩენკო,*** უკრაინის ნაკრების კალათბურთელი:

— საქართველოსთანაც და ბელორუსიასთანაც, ყველა კომპონენტში წავაგეთ. უპირველეს ყოვლისა, სათანადო განწყობა არ გვქონდა. ქართველებს კარგი და სწრაფი კალათბურთელები გყავთ და მათთან შედარებით პატარა ბიჭებივით ვიასპარეზეთ. ეს ტურნირი ძალიან ცუდად ჩავატარეთ, რადგან გამოცდილი მოთამაშეებიდან მხოლოდ 3 კალათბურთელიღა დავრჩით. აქედან გამომდინარე, შეთამაშება და პროფესიული ზრდა გვესაჭიროება. არც პირველი შეხვედრა ჩაგვიტარებია კარგად, სულ რაღაც 60 ქულა გავაკეთეთ, უბრალოდ, ესტონეთი ჩვენზე სუსტი აღმოჩნდა.

უაღრესად დაძაბული გამოდგა ბელორუსი-ესტონეთის შეხვედრა და მისი ბედი დამატებით დროში გაირკვა.

მატჩი თავიდანვე დაძაბული იყო. გუნდები ერთმანეთს დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ. მესამე მეოთხედში ბალტიისპირელებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს. მათმა ლიდერობამ 15 ქულას მიაღწია, მაგრამ ბელორუსები არ დანებდნენ. არტიომ პარახუტსისა და ალექსანდრ კუდრიავცევის აქტიურობით მესამე მეოთხედის ბოლოს ესტონელთა უპირატესობა 3 ქულამდე შემცირდა.

გადამწყვეტი ბოლო მეოთხედი გამოდგა, რომელშიც, რომ იტყვიან, სამქულიანების წვიმა წამოვიდა. ორივე გუნდი შედეგიანად ლაშქრავდა ფარს შორიდან, თუმცა საბოლოოდ ვერც ერთმა გუნდმა ვერ იძალა. 78:78 — ამ ანგარიშით დასრულდა მატჩის ძირითადი დრო. დამატებით დროში ბელორუსებმა საბოლოოდ გატეხეს ესტონელები და 92:84 გაიმარჯვეს.

ამ შეხვედრაში ბელორუსმა არტიომ არახიუსკიმ 28, ხოლო ესტონელმა სკენ სოკმა 26 ქულა მიითვალეს.

საბოლოო ცხრილი:

1.საქართველო 3 3 0 278:216 6
2.ბელორუსი 3 2 1 243:248 5
3.უკრაინა 3 1 2 194:219 4
4.ესტონეთი 3 0 3 204:236 3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# დილას“ ხმაურიანი გამარჯვება

ანორთოსისი — დილა 0:3

0:1 ვაწაძე (54), 0:2 სალუქვაძე (78), 0:3 ვაწაძე (81)

ანორთოსისი: ბლაზიჩი, პაულუ ჟორჟე, კოლინი, ილიჩი, ბოავენტურა, ოჰაიონი (რეზეკი 57), ალექსა, სპადასიო, ლაბანი, ლაბორდე, ოკასი (რონკატო 67)

დილა: სკენდერი, სალუქვაძე, ონიანი, შაშიაშვილი, კვირკველია, გრიგალაშვილი, ბეჭვაია, გვალია, კახელიშვილი (ახალკაცი 46), ვაწაძე, გურული

გაძევება: ლაბანი 79

მოხდა ის, რაც ქართულ გუნდებს არასდროს მოსვლიათ — ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის „დილამ“ საშინაო მარცხის შემდეგ სტუმრად იმარჯვა კვიპროსულ „ანორთოსისთან“ და პლეი-ოფის ეტაპზე გავიდა. არადა, პირველი მარცხის შემდეგ ყველაზე თამამი და გამოუსწორებელი ოპტიმისტიც კი ვერ იტყოდა, რომ გორელები ევროპის ლიგაზე დარჩებოდნენ. ასე იყო კვიპროსული მატჩის პირველი ტაიმის შემდეგაც, მაგრამ...

ერთია, თურმე კვიპროსულ მატჩს დასრულება არ ეწერა — 83-ე წუთზე გუნდებმა უსაფრთხოების მიზნით, მსაჯისა და დელეგატის ნებართვით, მოედანი დატოვეს და აღარც დაბრუნებულან. „ანორთოსისის“ გულშემატკივრებმა ვიდეოტექნიკის განადგურებითა და პლასტმასის სკამების დაწვით მოიოხეს გული, მარცხით გაოგნებულებმა სტადიონი მალევე დატოვეს და არეულობა სტადიონის გარეთაც გაუგრძელებიათ. თუმცა, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ლარნაკაში გამართული თამაშის პირველმა ტაიმმა მასპინძელი გუნდის უპირატესობით ჩაიარა. „აონორთოსის“ ფეხბურთელები, მართალია, ბევრს უტევდნენ, მაგრამ სკენდერის კართან რაიმე განსაკუთრებულად სახიფათო მომენტი არ ყოფილა. მართალია, სკენდერს საქმეში ჩართვა მოუწია, თუმცა ეს ყველაფერი უფრო ფორმალური იყო. ანალოგიური იყო ერთადერთი გამოხდომა „დილას“ მხრიდანაც — 32-ე წუთზე, ბეჭვაიას შორეული დარტყმა ბლაჟიჩმა მოიგერია, ხოლო დამატებაზე მოთამაშე ვაწაძის რთული სიტუაციიდან დარტყმის შემდეგ ბურთი კარს ასცდა.

პირველი ტაიმის გათვალისწინებით, „დილას“ მინიმალური სხვაობით მოგება და თამაშის თერთმეტმეტრიანებამდე მიყვანაც კი გაუჭირდებოდა, მაგრამ შესვენების შემდეგ თემურ შალამბერიძის გუნდი მოედანზე შეცვლილი გამოვიდა და მე-2 ტაიმში სულ სხვა „დილა“ ვიხილეთ.

საწყის წუთებში „დილამ“ 2 სახიფათო მომენტი შექმნა — ჯერ ბეჭვაიას დარტყმა იყო გამოსარჩევი, შემდეგ კი ახალკაცის ჩაწოდებული თუ დარტყმული კვიპროსელთა კარის ხარიხამ აისხლიტა.

მიმდინარეობდა მატჩი 54-ე წუთი, როდესაც გრიგალაშვილის ჩინებული პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასულმა ვაწაძემ წინგამოსულ კიპერს ბურთი თავზე გადაუტარა და 2 მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრა. უნდა ვთქვათ, რომ ვაწაძემ თამაშგარე მდგომარეობის ზღვარზე ითამაშა და გოლიც საეჭვო ჩანდა.

„ანორთოსისი“ მცირე ხნით გააქტიურდა, თუმცა „დილამ“ ისევ დაალაგა თამაში და უკვე 78-ე წუთზე უდიდესი უპირატესობა მოიპოვა — გრიგალაშვილის კუთხურს სალუქვაძის თავური მოჰყვა, ბურთი ერთხელაც მოხვდა ხარიხას, მაგრამ უკან გადმოვარდნილზე ყველას ისევ სალუქვაძემ დაასწრო და გორელთა კაპიტანმა ანგარიში 2:0 გახადა.

ამ ბურთის შემდეგ ფლეი-ოფში გასასვლელად „ანორთოსისს“ „დილას“ კარის 2-ჯერ აღება მართებდა, რაც ძალიან რთული ამოცანა ჩანდა. კვიპროსელთა სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, როდესაც მეორე გოლიდან 2 წუთში მათ გუნდის კაპიტანი გაუძევეს. სამართლიანადო, ვერ ვიტყვით — ლაბანი მოედნიდან გასაძევებელი ჯერ კიდევ მეორე გოლის დროს იყო, როდესაც ხელით შეეხო ცარიელ კარში მიმავალ ბურთს.

81-ე წუთზე „ანორთოსისის“ საჯარიმოს წინა ხაზთან, ორი კვიპროსელი ბურთისთვის ბრძოლაში ვერ გაერკვა და კოლინმა თავით ბურთი პირდაპირ ფეხზე დაასვა ვაწაძეს, რომელმაც შეუჩერებლად დააქუხა და სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი დადუმების ნაცვლად ააბობოქრა.

ამის შემდეგ დაიწყო ის, რაც ზემოთ ვახსენეთ — ადგილობრივმა გულშემატკივრებმა შეხვედრის ჩაშლა გადაწყვიტეს. მათი ნაწილი მოედანზე შევარდა, ნაწილმა ტრიბუნებზე ცეცხლი გააჩაღა, ხოლო ზოგიერთმა ტელეტრანსლირებისთვის საჭირო აპარატურის განადგურებას მიჰყო ხელი. უნდა ვთქვათ, რომ ისინი თავიანთ გუნდზე უფრო იყვნენ გაბრაზებული და ასეთი უსახური თამაში არ აპატიეს. თუმცა, ეს უკვე კვიპროსელთა სადარდებელია, რომელთაც უეფადან სერიოზული სანქციები არ ასცდებათ.

# ლუკაშენკო ლიტვას და შვედეთს ემუქრება



ბელორუსიის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს განმარტებით, შვედეთთან დიპლომატიური კონფლიქტი ბელორუსიის ცაზე მარტო შვედური თვითმფრინავის გადაფრენასთან არ არის დაკავშირებული.

— ქვეყნები, რომელთაც ბელორუსიის საზღვარი დაარღვიეს, საერთაშორისო სამართლის ნორმებით აგებენ პასუხს. ეს იყო ყველა შეთანხმების დარღვევა. მათ უნდა გაგვცენ პასუხი, რატომ დაუთმეს ქვეყნის ტერიტორია შვედებს ჩვენი საზღვრის დარღვევისთვის. ლიტვა ამაზე პასუხს აგებს, — განაცხადა ლუკაშენკომ.

მინსკის თავზე გადაიფრინა შვედურმა თვითმფრინავმა, რომელიც ლიტვის გავლით შევიდა ქვეყანაში და ბელორუსიის დედაქალაქის თავზე სათამაშო დათუნიები გადმოყარა, რომელთაც ლოზუნგები — „სიტყვის თავისუფლება“ ჰქონდათ აკრული.

შეგახსენებთ, რომ ბელორუსის პრეზიდენტი შვედეთის ელჩს ქვეყნიდან ადამიანის უფლებების დაცვის გამო აძევებს — დაწერა სოციალურ ქსელ ტვიტერში შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა:

— ლუკაშენკოს რეჟიმმა, ადამიანის უფლებების აქტიურად მხარდაჭერის გამო ბელორუსიდან გააძევა შვედეთის ელჩი. ეს აღმაშფოთებელია. ეს მეტყველებს რეჟიმის ხასიათზე, — წერს შვედი მინისტრი. ცოტა ხანში კი მისი მეორე ჩანაწერიც გამოქვეყნდა იმის შესახებ, რომ ბელორუსის ელჩის ხილვა არც შვედებს სურთ და მოითხოვს მისი და ბელორუსის საელჩოს კიდევ ორი თანამშრომლის ქვეყნიდან გაწვევას.

ლუკაშენკოს გადაწყვეტილება ე.წ. „პლუშის დესანტითაა“ განპირობებული. როგორც ცნობილია, 4 ივლისს შვედური ვერტმფრენი ბელორუსის საჰაერო სივრცეში შეფრინდა და ადამიანის უფლებების დაცვის მოწოდებებით რამდენიმე დასახლებულ პუნქტში პლუშის დათუნიები ჩაყარა. ეს ისე მოხდა, რომ ბელორუსის ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემამ ვერაფერი დააფიქსირა.

ოფიციალური მინსკი იუწყებოდა, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა, თუმცა საბოლოოდ, ლუკაშენკო იძულებული გახდა ელიარებინა, რომ უცხო ქვეყნის თვითმფრინავი მისი ქვეყნის ტერიტორიაზე მართლაც შეფრინდა. რის გამოც მან ანტისაჰაერო ძალებისა და სასაზღვრო ძალების ხელმძღვანელობა და თავდაცვის მინისტრი თანამდებობებიდან გაათავისუფლა.

# მიტ რომნის ადმინისტრაციის წევრობის კანდიდატების ვინაობა ცნობილი ხდება

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის მიტ რომნის შტაბმა აშშ-ის მომავალი ადმინისტრაციის მინისტრობის კანდიდატები შეარჩია, რომლებიც რომნის გამარჯვების შემთხვევაში შესაბამის პოსტებს დაიკავებენ. მართალია კანდიდატები იფიციალურად არ დასახელებულან, თუმცა აშშ-ის მედიაში უკვე ჩნდება კონკრეტული ინფორმაციები რომნის შტაბის წევრებზე დაყრდნობით.

ადმინისტრაციის სრული ფორმირება ჯერ არ დასრულებულა, თუმცა გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, განსაზღვრულია რამდენიმე ძირითად თანამდებობაზე დასანიშნი პერსონა.



„ფორინ პოლისში“ გამოქვეყნებული ბლოგის ავტორი ჯოშ როგონის ინფორმაციით, ცნობილი ხდება იმის შესახებაც, რომ სიის ფორმირებას 3 სექტემბერს შეუერთდება მსოფლიო ბანკის ყოფილის ხელმძღვანელი რობერტ ზელეკი. იგი რომნის ადმინისტრაციაში ეროვნული უსაფრთხოების სექტორზე იქნება პასუხისმგებელი.

ქვეყნის თავდაცვის მინისტრი რომნის ადმინისტრაციაში ყოფილი სენატორი, რესპუბლიკელი ჯიმ ტელენტი გახდება. იგი ამჟამად რომნის მთავარი მრჩეველია ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში და მის საარჩევნო შტაბში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. იგი გამორჩეული „ქორია“ და რესპუბლიკელთა სრული შემადგენლობა, მას მოკრძალებითა და პატივისცემით ეკიდება.

თუმცა თავდაცვის მინისტრობის კანდიდატად ასევე გაანიხილება ექსმინისტრი ჯონ ლემანი. მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, მედიაში აღინიშნება, რომ „თუ იგი მოინდომებს პენტაგონი მისი გახდება“.

სახელმწიფო დეპარტამენტს რომნის კაბინეტში დამოუკიდებელი სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი ჩაუდგება სათავეში. ლიბერმანი ყოფილი დემოკრატია, თუმცა ბოლო დროს დამოუკიდებელი სენატორის სტატუსით მოღვაწეობს. ამავე პოსტზე სავარაუდო კანდიდატებად ზელიკი და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის შეფი დევიდ პეტრეუსი სახელდებიან.

არ არის გაამორიცხული, რომ პეტრეუს რომნის კამპანიაში ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის რანგშიც ჩაერთოს.

რომნის მრჩევლად ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ჯორჯ ბუში-უმცროსის შტატგარეშე მრჩეველი ჯეკ კინი სახელდება. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პოსტია აშშ-ის ადმინისტრაციაში, რადგან ამ რანგის მრჩეველს „პრეზიდენტთან პირდაპირი ურთიერთობა აქვს და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში უშუალოდ მონაწილეობს“. ამავე პოსტზე სახელდენიან ერიკ ედელმანი, მიტჩელ რეისი და ელიოტ აბრამსი.

აშშ-ის მედია აღნიშნავს, რომ რომნი შეეცდება საკუთარ კაბინეტში რამდენიმე ისეთი პერსონა შეიყვანოს, რომელიც ქვეყნის წამყვან ორ პარტიას შორის გარკვეული თანამშრომლობის ტრადიციასაც შეინარჩუნებს, რისი მაგალითიცაა სახელმწიფო მდივნად ჯოზეფ ლიბერმანის, შესაძლო, დანიშვნა.

უილარდ მიტ რომნი მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორი იყო 2003-2007 წლებში. აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი 2012 წლის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიიდან. მიჩიგანის შტატის ყოფილი გუბერნატორის ჯორჯ რომნის ვაჟი. უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი (მორმონი).

## ირანი ინტერნეტით სარგებლობას სექტემბერში შეწყვეტს

ირანის ისლამური რესპუბლიკა 2013 წლისათვის ინტერნეტით სარგებლობის შეწყვეტასა და ამის ნაცვლად ქვეყნის ფარგლებში არსებული შეზღუდული ინტერნეტის გამოყენებას აპირებს. ირანის კომუნიკაციებისა და ინფორმაციის მინისტრმა რეზა ტაკიპურმა ინტერნეტზე განაცხადა, რომ „ის ნდობას არ იმსახურებს“ და რომ „იგი ერთი ან ორი გარკვეული ქვეყნის ხელში იმყოფება“.

ტაკიპურმა ასევე განაცხადა, რომ ირანის ოფიციალური დაწესებულებებისა და სამინისტროების ვებგვერდები მსოფლიო ქსელიდან უკვე მიმდინარე წლის სექტემბერში გამოვლენ. მთლიანობაში გადასვლა 2013 წელს დასრულდება.

ირანის „შიდა ინტერნეტის“ პროგრამაზე ცოტა რამ არის ცნობილი. დახურული ინტერნეტი ასევე არსებობს კუბაზე.

ინტერნეტი, იგივე „მსოფლიო-ქსელი“, ერთმანეთზე მიერთებული კომპიუტერების საჯაროდ ხელმისაწვდომი ქსელია. ინტერნეტს, ზოგჯერ ეძახიან, უბრალოდ „ქსელს“, ანუ ქსელთა ქსელს, სადაც მომხმარებლებს, თუ მათ აქვთ უფლებები, შეუძლიათ ნებისმიერი კომპიუტერიდან მიიღონ ინფორმაცია. ინტერნეტი აღნიშნავს გლობალურ კომპიუტერულ ქსელს, რომელიც ეფუძნება აიპი პროტოკოლს და პაკეტთა მარშრუტიზაციას. ინტერნეტი ქმნის გლობალურ საინფორმაციო სივრცეს და წარმოადგენს მსოფლიო ქსელის საფუძველს.

## ბრიტანელებმა ედუარდ მანეს ნახატი გამოისყიდეს

1868 წლით დათარიღებული ედუარდ მანეს ნახატი „მადმუაზელ კლაუსის პორტრეტი“, ბრიტანეთში მდებარე აშმოლის მუზეუმმა 7,83 მილიონ ფუნტად შეიძინა.

ცნობილია, რომ 2011 წელს ნახატის უცნობმა, ინგლისელმა, პატრონმა ის 28 მილიონ ფუნტად უცხოელს მიყიდა. გასული წლის დეკემბერში, ბრიტანეთის მთავრობამ 2012 წლის თებერვლამდე ნახატის ქვეყნიდან გატანა აკრძალა. შემდეგ კი იმ იმედით, რომ ნახატს მყიდველი ისევ ბრიტანეთში გამოუჩნდებოდა, მისი ქვეყნიდან გატანის აკრძალვა, 2012 წლის აგვისტომდე გაზარდა.

საბოლოოდ, „მადმუაზელ კლაუსის პორტრეტის“ შეძენის სურვილი აშმოლის მუზეუმმა გამოთქვა. მანეს ნახატის, რომელზეც მევიოლინე ფანი კლაუსია გამოსახული შესაძენად, მუზეუმმა თანხების მოსაზიდი სპეციალური ფონდიც შექმნა. საბოლოო ჯამში, მუზეუმმა ნახატი, დიდი ფასდაკლებით, 7.83 მილიონ ფუნტად შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ეს ნახატის საბაზრო ღირებულების მხოლოდ 27 % – ია.



მიუხედავად იმისა, რომ ნახატი ფრანგი მხატვრის შედევრია, ბრიტანელები მას ნაციონალურ საგანძურად მიიჩნევენ. ეს გასაკვირი არც არის, რადგან „მადმუაზელ კლაუსის პორტრეტი“ 1883 წელს, მანეს სიკვდილის შემდეგ, მხატვარმა ჯონ სინგერ სარჯენტმა ლონდონში ჩაიტანა და მას შემდეგ დიდ ბრიტანეთში ინახება.

ედუარ მანე (დ. 23 იანვარი, 1832, პარიზი – გ. 30 აპრილი, 1883, იქვე), ფრანგი მხატვარი-უნივერსალისტია. მისი ადრეული ნამუშევრები „წახემსება მინდორზე“ და „ოლიმპია“ დიდი კამათის საგანი შეიქმნა, რამაც დასაბამი მისცა იმპრესიონიზმის მიმდინარეობას. ის იყო მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი პირველი ხელოვანი, რომელმაც თანამედროვე ცხოვრების ობიექტების ასახვა დაიწყო; მისი ნამუშევრები საყოველთაოდ განიხილება, როგორც დამაკავშირებელი რეალიზმსა და იმპრესიონიზმს შორის.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**ᲪᲕ,ᲤᲧᲠᲯᲞᲢᲠᲓᲑᲐᲑᲜᲢ,ᲑᲖ**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`


## უფასო განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

## ორშაბათი 13 აგვისტო

**08.00** დოკ. ფ. "დარიუს მიო და მისი მუსიკა". **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** მოამბე **09.10** ანიმაცია "ზღაპარი სამ დათვზე". **10.10** მხ. ფ. **"პატარა ელფი"**. **12.45** ვახო სანაიას რეპორტაჟი **13.45** მხ. ფ. **"უცნაური წყალი 2"**. **15.30** ჩვენი ფერმა. **17.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მიმინო და მტრედი"** **21.00** სერ. **"დეტექტივები"** **22.00** აუდიტორია **23.00** მხ. ფ. **"ბოლო მომენტში"**. **00.30** საფარი **01.20** მხ. ფ. **"შეუსრულებელი მისია 3"** (15) (ტ. კრუზი) **03.20** მხ. ფ. **"სტეფორდელი ცოლები"** (ნ. კიდმანი) **04.50** მხ. ფ. **"რწმენის ნაჭრომი"** **06.30** დოკ. ფ. "მსოფლიო ოდისეები".

**08.00** დოკ. ფ. "მსრფლიოს ქალაქები - ლონდონი". **09.00** მხ.ფ. **"ჩვეულებრივი სასწაულები"** **10.30** დოკ.ფ. "მსოფლიო ოდისეები" **11.00** მხ.ფ. **"ნიანგი დანდი"** **12.40** დოკ. ფ. "მსოფლიო ოდისეები". **13.10** მხ.ფ. **"ჩვენი სახლი"** **14.45, 17.45, 20.00, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფ. "სამყარო" **17.00** სერ. **"მეორე შანსი"** **19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **20.00** მხ.ფ. **"ქალწული დედოფალი"** **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ.ფ. **"შეუსრულებელი მისია 2"**. (ტ. კრუზი)

**08.00** ან. ფილმი "კუ ნინძების ახალი თავგადასავალი" **11**-სერ. **08.30** ან. ფილმი "ვინი პუხის ახალი თავგადასავალი" **11**-სერ. **09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50, 05.00, 07.00** ქრონიკა **09.10** სერ. **"გმირები 3"** **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 5-სერ. **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი. **13.00** სერ. **"რომი"** 6-სერ. **14.40** ქართ. სერ. **"მტვრის გემო"** 6-სერ. **15.40** სერ. **"მოჯადოებული"** 6-სერ. **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ქართ. სერ. **"მგლების ხორუმი"** 3-სერ. **00.00** ქალური ლოგიკა. **01.25** მხ.ფ. **"კრისტი"** **03.00** მხ.ფ. **"კასანდრას ოცნება"** (15) (კ. ფარელი) **04.45** მხ.ფ. **"უცხოები"** (18) **06.25** მუსიკა.

**07.30** MTV CRIBS **08.00** MTV ROOM RAIDERS **08.30** MTV MY SUPER SWEET **09.00** MTV MADE **09.30** MTV LAGUNA BEACH **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 06.00** კურიერი **12.30** ქარ. მხ.ფ. **"არაჩვეულებრივი გამოფენა"**. **14.00** შერეკილები **15.30** სერ. **"MODERN FAMILY"** **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** სერ. **"დეტექტივები"** **01.00** MTV PUNK'D **01.30** MTV Boyling Points **02.00** MTV True Life **02.30** მხ.ფ. (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი "საოცარი მითები&ლეგენდები". **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **09.45, 12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფ. **12.15** სერ. **"ბარნუმი"** **13.00** მხ. ფ. **15.15** პულსი **15.45** ან. ფ. "ჯუნგლების წიგნი-II" **17.10** სერ. **"ელიზა და რივომბროზა-II"** **18.00** მხ. ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფ. **23.30** მხ. ფ. **01.55** მხ. ფ.

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 16.00** დოკ. ფ. "სამოთე დედამიწაზე" **10.30** დოკ. ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"საგა"** **12.50, 19.35** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **13.50** 1000 წვრილმანი. **15.15** დოკ. ფ. "დედამიწის საგანძური" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფ. **23.00** მხ.ფ. **"სასტუმრო ნიუპემფშირი"** **00.30** მხ.ფ. **"მოხეტიალე ტყვია"**

ერთსულოვნება **08.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი". **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05** საეკლესიო კალენდარი. **09.05** განთიადი. **10.05, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.10, 12.05, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.15** ლექსით ქებათა ქება. **10.40** კვირიაკე. **12.10** მხ. ფ. **"ვედრება"**. **13.20** კონცერტი. **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** სპექტაკლი **"წუთისოფელი"**. **16.30** დოკ. ფ. "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". **17.00** დოკ. ფ. "ველური ბუნება". **17.30** დოკ. ფ. "მეომრები". **18.10** გუთნისდედა. **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი. **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი. **19.20** მხ. ფილმი **"სანა წვიმა გადივლიდეს"**. **20.40** ძილი ნებისა. **21.05** პატრიარქის ქადაგება. **21.20** საღვთისმეტყველო საუბრებიყ **22.25** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან. **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** ჩვენი ფონდი. **00.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. **02.00** თბილისის ტაძრები.

## სამშაბათი 14 აგვისტო

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** დოკ. ფილმი "ბარბი". **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** მოამბე **09.10** ანიმაცია "ბანდოლეროს თავგადასავალი". **10.30** მხ. ფ. **"პრინცი ბაყაყი"** **12.45** მხ. ფ. **"მე სემი ვარ"** **15.00** სერ. **"დეტექტივები"** **17.00** მედინფო **17.30, 05.40** დოკ. ფ. "სამყარო" **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მიმინო და მტრედი"** **21.00** სერ. **"დეტექტივები"** **22.00** დიალოგი დ.პაიჭაძესთან. **23.00** მხ.ფ. **"ბოლო ცეკვა ჩემია"** **01.20** მხ. ფ. **"შეუსრულებელი მისია 3"** (15) (ტ. კრუზი) **03.25** მხ. ფილმი **"მთავარანგელოზი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფ. "სამყარო" **17.00** სერ. **"მეორე შანსი"** **20.00** მხ.ფ. **"ქალწული დედოფალი"** **01.00** მხ.ფ. **"ბოლო ცეკვა ჩემია"**

**08.00** ან.ფ. "კუ ნინძების ახალი თავგადასავალი" **12**-სერ. **08.25** ან.ფ. "ვინი პუხის ახალი თავგადასავალი" **12**-სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00, 05.00, 07.00** ქრონიკა. **09.10** სერ. **"გმირები 3"** **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 6-სერ. **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი. **13.00** სერ. **"რომი"** 7-სერ. **14.40** ქართ. სერ. **"მტვრის გემო"** 7-სერ. **15.40** სერ. **"მოჯადოებული"** 7-სერ. **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ქართ. სერ. **"მგლების ხორუმი"** 4-სერ. **00.00** ყოფილი ცოლების კლუბი. **01.25** მხ.ფ. **"ქუთილი ჯონი"** **02.20** მხ. ფ. **"ცოდვის ქალაქი"** **05.40** მუსიკა. **07.15** სერ. **"მოპარული ბედნიერება"**

**07.30** MTV CRIBS **08.00** MTV ROOM RAIDERS **08.30** MTV MY SUPER SWEET **09.00** MTV MADE **09.30** MTV LAGUNA BEACH **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ქარ. მხ.ფ. **"დონ ჟუანის დაბადება"**. **14.00** შერეკილება. **15.30** სერ. "MODERN FAMILY" **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** თქვენი შოუ **00.00** MTV PUNK'D **00.30** MTV Boyling Points **001.00** MTV True Life **01.30** მხ.ფ. (ტიტ.)

**08.00** ან. ფ. "ყველაზე პატარა ზოომაღაზია". **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფ. **12.20** სერ. **"პოლიციელთა ამბები"** **13.00** მხ. ფ. **15.15** ან. ფ. **17.10** სერ. **"ელიზა და რივომბროზა-II"** **18.00** მხ. ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფ. **00.30** მხ. ფ.

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 03.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 16.00** დოკ. ფილმი "სამოთე დედამიწაზე" **10.30** დოკ. ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერიალი **"საგა"** **12.50** სერიალი **"სენიორა პრეზიდენტი"** **13.50** მუსიკა **15.15** დოკ. ფ."დედამიწის საგან ძური" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფ. **19.30** ანონსი. **19.35** სერიალი "წყნარი ოკეანის მარგალიტი" **23.00** დოკ. ფ."ისინი" **23.30** მხ. ფ. **"დევნა"** **01.00** მხ. ფ. **"ბრუნო"**

ერთსულოვნება **08.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი". **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საეკლესიო კალენდარი. **09.05** განთიადი. **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური. **10.15. 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.40**, ლექსით ქებათა ქება. **10.45** გუთნისდედა. **11.15** ჩვენი ფონდი. **11.25** საღვთისმეტყველო საუბრები. **12.05** ამინდი. **12.15** მხ. ფ. **"სანამ წვიმა გადივლიდეს"**. **12.35** კონცერტი. **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** დები ტრევისის საოცარი სახლი. **15.35** დოკ. ფ. "ველური ბუნება". **16.00** მხ. ფ. **"ოქროს ტბასთან"**. **18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. **18.20** დიდი ხარ შენ, უფალო. **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი. **19.20** ჩვენი ტრაპეზი. **19.30** დროის ჩანაწერები. **20.40** ძილი ნებისა. **21.05** პატრიარქის ქადაგება. **21.25** დოკ. ფ. "მარიამობის მარხვა". **21.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია. **22.25** მგზავრები წუთისოფლისა. **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** ჩვენი ფონდი. **23.35** დოკ. ფ. "აპოლონი". **00.35** ერთსულოვნების საღამო. **00.30** კარაბადინი. **02.00** თბილისის ტაძრები.

## ოთხშაბათი 15 აგვისტო

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** დოკ. ფ. "ჟან-პოლ გოტიე" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.45** მოამბე **09.10** მხ. ფილმი **"ვარსკვლავური მტვერი"** **11.20** დოკ. ფ. "სამყარო" **12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** ტ. ფილმი **"მსურველებს შეუძლიათ ჩაეცვიონ"** **15.00** სერ. **"დეტექტივები"** **17.00** ეკონომ მენიუ **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მიმინო და მტრედი"** **21.00** სერ. **"დეტექტივები"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა. **23.00** ღამის საუბრები. **00.00** მხ. ფ. **"დედა"** **02.05** მხ. ფ. **"ბოლო ცეკვა ჩემია"** **04.05** მხ.ფ. **"მეცამეთე"** (ვ. კილმერი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფ. "სამყარო" **17.00** სერ. **"მეორე შანსი"** **20.00** მხ.ფ. **"ჰენრი VIII"** (შ. ბინი) **1-2**-სერ. **01.00** მხ.ფ. **"ვანილის ცა"** (15) (ტ. კრუსი)

**08.00** ან. ფილმი "კუ ნინძების ახალი თავგადასავალი" **08.25** ან. ფილმი "ვინი პუხის ახალი თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00, 05.00, 07.00** ქრონიკა. **09.10** სერ. **"გმირები 3"** **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 7-სერ. **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი. **13.00** სერ. **"რომი"** 8-სერ. **14.40** ქართ. სერ. **"მტვრის გემო"** 8-სერ. **15.40** სერ. **"მოჯადოებული"** 8-სერ. **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ქართ. სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **00.00** ქართ. სერ. **"მგლების ხორუმი"** 5-სერ. **01.00** ხანუმა. **02.15** რემონტი **03.25** მხ. ფ. **"ამერიკელი ცოლი"** **05.15** მხ.ფ. **"ძაღლური ცხოვრება"** **06.40** მუსიკა. **07.15** სერ. **"მოპარული ბედნიერება"**

**07.30** MTV CRIBS **08.00** MTV ROOM RAIDERS **08.30** MTV MY SUPER SWEET **09.00** MTV MADE **09.30** MTV LAGUNA BEACH **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** ქარ. მხ.ფ. **"რაც გინახავს ვეღარ ნახავ"**. **14.00** შერეკილება **15.30** სერ. **"MODERN FAMILY"** **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **23.00** სერ. **"დეტექტივები"**. **01.00** MTV PUNK'D **01.30** MTV Boyling Points **02.00** MTV True Life **02.30** მხ. ფ. (ტიტ.)

**08.00** ან. ფ. "საოცარი მითები&ლეგენდები". **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **09.45, 12.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფ. **12.15** სერ. **"პოლიციელთა ამბები"** **13.00** მხ. ფ. **15.15** ან.ფ. "ყველა ძაღლი სამოთხეში მიდის" **17.10** სერ. **"ელიზა და რივომბროზა-II"** **18.00** მხ.ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ.ფ. **00.40** მხ.ფ.

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 03.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 16.00** დოკ. ფ. "სამოთე დედამიწაზე" **10.30** დოკ. ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერიალი **"საგა"** **12.50** სერიალი **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **13.50** დოკ. ფ. "ისინი" **15.15** დოკ. ფ. "დედამიწის საგან'ური" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფ. **19.35** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **23.00** სცენა **23.430** მხ.ფ. **"ის მე ვეღარ მიტანს"** **01.00** მხ.ფ. **"უკდავნი"**

ერთსულოვნება **08.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი". **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საეკლესიო კალენდარი. **09.05** განთიადი. **10.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.10, 18.55, 21.55, 22.55, 00.30** ისტორიის დღიური. **10.15. 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება. **10.40** დოკ. ფილმი "იმედის მცველები. **11.05** დოკ. ფილმი "მეომრები". **11.30** მგზავრები წუთისოფლისა. **12.05** ამინდი. **12.10** დროის ჩანაწერები. **13.15** კონცერტი. **15.05, 18.55, 22.50** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** ჩვენ ქსნავლობთ ბიბილიას. **16.25** კვირიაკე. **18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. **18.25** დიდი ხარ შენ, უფალო. **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი. **19.20** მხ. ფ. **"წარსულის აჩრდილები"** 1-სერ. **20.40** ძილი ნებისა. **21.05** პატრიარქის ქადაგება. **21.30** გზა, რომლითაც ვიარე. **22.25** ქართული ალბომი. **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** დოკ. ფ. "უბისა". **00.35** დოკ. ფ. "მომღერალე ბერები". **02.00** თბილისის ტაძრები.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

## ხუთშაბათი 16 აგვისტო

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** დოკ. ფ. "ბიომეტრიის ეპოქა". **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.20** მოამბე **09.10** მხ. ფ. **"ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი"** **11.40** დოკ. ფ. "სამყარო" **12.45** მხ. ფ. **"ურჩხული და კოსმეტოლოგი"** **14.30** აღმოაჩინე საქართველო **15.00, 21.00** სერიალი **"დეტექტივი"** **17.00** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ". **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მიმინო და მტრედი"** **22.00** დიალოგი დ.პაიჭაძესთან. **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **00.00** სი-ბემოლი. **01.00** მხ. ფილმი **"ზარი 2"** **02.50** საფარი. **03.40** მხ. ფ. **"დედა"** **05.20** მხ. ფ. **"გრძნობით შეპყრობილნი"** (გ. პელტროუ)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფ. "სამყარო" **17.00** სერ. **"მეორე შანსი"** **20.00** მხ.ფ. **"ჰენრი VIII"** (შ. ბინი) **3-4**-სერ. **01.00** მხ. ფ. **"ოფიცერი და ჯენტლმენი"** (18) (რ. გირი)

